კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№16 (1706) 12 – 18 ივნისი ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

როგორ მოექცნენ პატიმრები ციხეში კაცს, რომელმაც ქალი მეხუთე სართულიდან გადმოაგდო

რამდენი ათასი ევრო გადაუხადეს დედამ და ბიძამ ესპანეთში, ქართველი ქალის მკვლელის ადვოკატს

რა გზა გაიარა თინათინ ბოკუჩავამ ენმ-ის თავმჯდომარეობამდე

მიხეილ სააკაშვილის ნაჩუქარი ოქროს ძეწკვი და მემკვიდრეობით მიღებული ქონება – პოლიტიკოსი ქალის დოსიე

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რა ქონებას ფლობს ტელეკომპანია „პოსტივის“ ერთ-ერთი მეწილე

დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძის ქონებრივი დეკლარაცია

რა მოხდა 2013-2014 წლებში, კიევის მაიდანზე

დაღუპულები და ნაცემები – უკრაინის ევრომაიდნის ქრონიკა

ბათუმში 2024 წლის საზღვაო სეზონის ოფიციალური გახსნის ღონისძიება გაიმართა

ბათუმში საზღვაო სეზონის გახსნის ოფიციალური ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და აჭარის მთავრობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხელმძღვანელმა პირებმა მეხანძრე-მაშველებს სიტყვით მიმართეს და წარმატებები უსურვეს.

ღონისძიების ფარგლებში, სანაპირო ზოლზე გამოფენილი იყო წყალზე სამაშველო აღჭურვილობა, ავტოტექნიკა, მცურავი საშუალებები, ასევე, საჰაერო და წყალქვეშა დრონები.

ოფიციალური ცერემონიის დასასრულს, სტუმრებისთვის განახლებული მცურავი საშუალებების, კერძოდ, სამაშველო სკუტერებისა და სწრაფმავალი კატარღების პრეზენტაცია გაიმართა.

მეხანძრე-მაშველები, რომლებიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად არიან აღჭურვილები, აჭარის რეგიონში სრულად აითვისებენ შავი ზღვის სანაპირო ზოლს და გაუწევენ შესაბამის მონიტორინგს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საფეხბურთო გუნდმა ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის 2023/2024 წლის სეზონის ოქროს ლიგის ფინალში გამარჯვება მოიპოვა

ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის ოქროს ლიგის ფინალურ შეხვედრაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საფეხბურთო გუნდმა ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ფინალურ მატჩში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საფეხბურთო გუნდი „კროკობეთს“ დაუპირისპირდა.

დაძაბულ მატჩში, სამინისტროს თანამშრომლებმა „კროკობეთის“ საფეხბურთო გუნდი ანგარიშით – 2:1 დაამარცხეს.

საფეხბურთო გუნდების ფინალური შეხვედრა სპორტკომპლექს „არენა 2“-ში გაიმართა.

გაზის (აირის) იარაღის შეძენისა და რეგისტრაციის წესში ცვლილებები შევიდა

მიმდინარე წლის 7 ივნისიდან, გაზის (აირის) იარაღის შეძენის/რეგისტრაციის წესში ცვლილებები შევიდა. „სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვის, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში შესული ცვლილებების თანახმად, თუ პირს სურს გაზის (აირის) იარაღის შეძენა/რეგისტრაცია საჭიროა მომსახურების სააგენტოში წარადგინოს იარაღის შენახვის/რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოდან თანხმობა.

დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი გარემოებების შესწავლის საფუძველზე, თანხმობის ან თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ წერილობით გადაწყვეტილებას, იარაღის შენახვის/რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, იღებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო. გადაწყვეტილება განმცხადებელს ეცნობება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში დაბარებული პირის არგამოცხადება/მისვლაზე უარი ან/და პირის საცხოვრებელ ადგილზე/იარაღის შენახვის ადგილზე მისული უფლებამოსილი პირის არდაშვება წარმოადგენს თანხმობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ინსტრუქტორმა ვეტერან ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ტაქტიკური სამსახურის ინსტრუქტორმა, დევიკო გობეჯიშვილმა ბოსნია-ჰერცეგოვინაში გამართულ ვეტერან ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა.

ბოსნია-ჰერცეგოვინას ქალაქ სარაევოში მიმდინარე ჩემპიონატზე, დევიკო გობეჯიშვილმა 100 კილოგრამიანთა წონით კატეგორიაში იასპარეზა. მან ფინალური ორთაბრძოლა ქართველ ვეტერან ძიუდოისტთან, გიორგი მოდებაძესთან გამარჯვებით დაასრულა და 100 კილოგრამიანთა წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ინსტრუქტორი, დევიკო გობეჯიშვილი ქალაქ სარაევოში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით იმყოფებოდა.

რა გზა გაიარა თინათინ ბოკუჩავამ ენმ-ის თავმჯდომარეობამდე

ნინო დოლიძე

მიხეილ სააკაშვილის ნაჩუქარი ოქროს ძეწკვი და მემკვიდრეობით მიღებული ქონება – პოლიტიკოსი ქალის დოსიე

მართალია, ჯერ ოფიციალურად არა, მაგრამ მალე ენმ-ის თავმჯდომარე გახდება ანუ ლევან ხაბეიშვილმა ბრიფინგზე კი განაცხადა, პარტიის ლიდერის პოსტს ჯანმრთელობის გამო ვტოვებ და გზას თინათინ ბოკუჩავას ვულოცავო, მაგრამ იმისთვის, რომ ლეგიტიმური თავმჯდომარე გახდეს, ყრილობა უნდა ჩატარდეს და დელეგატთა უმრავლესობამ ხმა თინა ბოკუჩავას მისცეს. წყალი არ გაუვა – ასეც მოხდება, თუმცა აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგივე სოცქსელში, „ნაცების“ ნაწილი ამ გადაწყვეტილებას მაინცდამაინც არ მიესალმა. რატომ? – ეს რიტორიკული კითხვაა, თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ბოკუჩავა ის პოლიტიკოსია, რომელსაც შიდა ანუ პარტიული მოწინააღმდეგეები, თუ „ნაცებისადმი“ სხვა, ანტაგონისტურად განწყობილნი ვერ წამოაძახებენ, კორუფციონერი ხარ ანდა მიშას ხელისუფლების დროს, ადამიანის უფლებების დარღვევაში იყავი ეჭვმიტანილიო. სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და, მიშას ზეობის დროს, ქალბატონი ბოკუჩავა საჯარო სამსახურში იყო დასაქმებული, თუმცა ამაზე მოგვიანებით.

კიდევ ერთი დეტალი: როგორც საჯარო კომენტარებიდან ირკვევა, თინა ბოკუჩავას ენმ-ის თავმჯდომარეობა მაინცდამაინც არ უნდოდა. ყოველ შემთხვევაში, ამბობს, რომ გადაწყვეტილება რთულად მიიღო:

„ჩემთვის ეს იყო ძალიან რთული გადაწყვეტილება, როდესაც ლევანის გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გაჩნდა აუცილებლობა, ეს დისკუსია გახსნილიყო პარტიაში და როდესაც ის პირველად გამესაუბრა ამ გადაწყვეტილებაზე, არ იყო მარტივი ჩემთვის ამ გადაწყვეტილების მიღება. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტ სააკაშვილის მოსაზრება, ჩართულობა... ლევანისთვისაც რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ძალიან ღირსეული ნაბიჯი, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რომ მისთვის კონკრეტული თანამდებობა კი არ არის მნიშვნელოვანი, მისთვის მნიშვნელოვანია გამარჯვება და ახლა ჩათვალა, რომ მისი გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ის საკუთარი თავის ინვესტიციას 100%-ით ვერ შეძლებდა და ვფიქრობ, რომ ამას ბევრი არ გააკეთებდა. ეს მისი მხრიდან ძალიან ღირსეული ნაბიჯია, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ჩვენ ნამდვილად გუნდურად ვმოქმედებთ და ვფიქრობთ მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვების საერთო მიზანზე, მეტიც, მან თქვა, რომ დარჩება პოლიტსაბჭოს თავმჯდომარედ. მნიშვნელოვანია, რომ ლევანი რჩება, როგორც გუნდის მნიშვნელოვანი წევრი“.

ისე, თავმჯდომარეობა პირველი თანამდებობა არაა, რომელსაც თინა ბოკუჩავას ენმ-ში დაიკავებს. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე ხაბეიშვილი წავიდოდა, ის ენმ-ის საპარლამენტო ფრაქციას ხელმძღვანელობდა. ასევე, ყოფილი მმართველი პარტიის ქალთა ორგანიზაციის ლიდერიც იყო.

და მაინც, ვინ არის თინა ბოკუჩვა და რა გზა გაიარა ენმ-ის თავმჯდომარეობამდე? ვიდრე ხაბეიშვილის შემცვლელის ბიორგრაფიას ქართულ „ვიკიპედიაზე“ დაყრდნობით გაგაცნობთ, გეტყვით, რომ თინა ბოკუჩავა მკაცრი, ე.წ. საქმიანი ქალის სტილით გამოირჩევა, რაც მხოლოდ მის ჩაცმულობაში კი არა, არამედ, საუბრის ტემბრსა და მანერაშიც გამოიხატება.

ამასთან, ბოკუჩვა ხმაურიან განცხადებებსა თუ პარლამენტის სხდომათა დარბაზში კოლეგებთან დაპირისპირებებსაც არ ერიდება. ასე, მაგალითად, 2016 წლის მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში, ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, მას სიტყვიერი დაპირისპირება მოუხდა აწ უკვე ყოფილ „მეოცნებესა“ და ყოფილ დეპუტატ ეკა ბესელიასთან.

როგორც იმდროინდელი ონლაინ-მედია იუწყებოდა, *„კამათი მთავარი პროკურორის კანდიდატურის განხილვისას დაიწყო, როდესაც თინა ბოკუჩავამ ტრიბუნა ზე გამოსვლისას მმართველი გუნდი და ეკა ბესელია ჯაშუშების საპატიმროებიდან გათავისუფლებაში დაადანაშაულა. საპასუხოდ ეკა ბესელიამ ოპოზიციონერ დეპუტატს ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი შეახსენა და განმარტა, რომ ყოფილი სახელისუფლო გუნდი ჯაშუშობის მოტივით დევნიდა ოპონენტებს.*

თავისი გამოსვლისას, ეკა ბესელიამ ბოკუჩავას შეახსენა, რომ ამ პერიოდში, ბოკუჩავამ ყოფილი პრეზიდენტისგან, მიხეილ სააკაშვილისგან საჩუქრად ოქროს სამაჯური მიიღო.

„2004 წლიდან გებრძოდით მე თქვენ, როგორც კი მოხვედით ხელისუფლებაში თქვენი გუნდი. მაშინ, როდესაც ჩემი სკოლის მოსწავლე შვილი თქვენი პრეზიდენტის ბრძანებით დააპატიმრა ჩემ უდანაშაულო ძმასთან ერთად და ჩემი ოჯახის წევრები მძევლად აიყვანეთ, 2010 წელი იყო.

მე ქუჩაში გამოვედი 2004 წლიდან და ჩემი ოჯახის გამო, ქუჩაში არ გამოვსულვარ. 2010 წელს დაიწყო პოლიტიკური ტერორი. როდესაც შენი ლიდერი ჩემი ოჯახის წევრებს ატერორებდა და მძევლად ჰყავდა, მაინტერესებს, შენ, თინა ბოკუჩავას ოქროს სამაჯურს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჩუქრად რატომ გიგზავნიდა. ეს კონკრეტული ფაქტი არის იმ ბრალდების საქმეში, რომელიც სასამართლოში არის გაგზავნილი. ეს არის ის მასალები, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაფლანგული თანხების გამო, მიხეილ სააკაშვილს ბრალად წარედგინა. ქალბატონო ბოკუჩავა, სააკაშვილი როცა ჩემ ოჯახს აპატიმრებდა, კორუფციულ სქემებში ერთ-ერთი თქვენ იყავით, ოქროს ნივთებს გიგზავნიდათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ეს საქმე დევს სასამართლოში, ამისთვის სააკაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, რადგან ასეთი რვა მილიონზე მეტია გაფლანგული“, – *განაცხადა ბესელიამ.*

ამის შემდეგ, ბოკუჩავა სიტყვას ითხოვდა, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ უთხრა, რომ საკითხი განხილულია და ხუთწუთიანი ტექნიკური შესვენება გამოაცხადა.

დასასრული მე-4 გვერდზე

რა გზა გაიარა თინათინ ბოკუჩავამ ენმ-ის თავმჯდომარეობამდე

მე-3 გვერდიდან

კამათი სხდომათა დარბაზში დაიწყო და ტექნიკური შესვენებისას გაგრძელდა. ვითარების განმუხტვას და თინა ბოკუჩავას დამშვიდებას პარლამენტის თავმჯდომარე და დეპუტატები ცდილობდნენ.

მეორე დღეს, უმრავლესობის დეპუტატმა „ქართული ოცნებიდან“, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ გამოაქვეყნა დოკუმენტი, სადაც წერია, რომ დეპუტატ თინა ბოკუჩავას „ნაცმოძრაობიდან“, ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოქროს ძეწკვი კულონით აჩუქა“.

ახლა, რაც შეეხება თინათინ ბოკუჩვას ოფიციალურ ბიოგრაფიას, ქართულ „ვიკიპედიაში“ ვკითხულობთ:

„თინათინ (თინა) ბოკუჩავა – ქართველი იურისტი და პოლიტიკოსი. საქართველოს სამი მოწვევის (2012, 2016, 2020) პარლამენტის წევრი.

თინათინ ბოკუჩავა დაიბადა 1983 წლის 29 მაისს.

2009 წელს, დაამთავრა ფლეთჩერის დიპლომატიისა და სამართლის სკოლა დიპლომატიისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალობით, შემდეგ კი სმიტის კოლეჯი აშშ-ში, პოლიტიკური მეცნიერების სპეციალობით.

2009-2011 წლებში მუშაობდა ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტში.

2011 წელს იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

2012 წელს – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის მოადგილე.

2012-2016 წლებში – საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით საარჩევნო ბლოკი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – „მეტი სარგებელი ხალხს“.

2013 წლიდან იკავებდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტს.

2016-2020 წლებში იყო საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით საარჩევნო ბლოკი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

ამავე წლებში გახლდათ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტისა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი. 2016-2017 წლებში იყო დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის წევრი.

2020 წლიდან არის საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით საარჩევნო ბლოკი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“.

* * *

ქართულ ონლაინ-მედიას თუ დავუჯერებთ, თინა ბოკუჩავას შთამბეჭდავი უძრავი ქონება და საინტერესო მემკვიდრეობა აქვს. „ამბები.გე“-ს მიერ, 2022 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხულობთ:

„პროფესიით იურისტი თინათინ ბოკუჩავა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური პოლიტიკოსია...

თინათინ ბოკუჩავას საპარლამენტო კარიერა 2012 წლიდან იწყება, როდესაც საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი გახდა და მას შემდეგ მუდმივად იყო ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო სიაში წარმოდგენილი.

ბოკუჩავას ჰყავს ლექტორი მეუღლე – კონსტანტინე იოსელიანი.

პოლიტიკოსის მეუღლის ქონება საკმაოდ შთამბეჭდავია – როგორც ჩანს, მან საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობა მიიღო.

იოსელიანი, 2007 წლიდან, სოფელ ნასაგურში, 1500 კვ.მ. ფართობის ნაკვეთს მფლობს, რაც მემკიდრეობით გადაეცა ოჯახისგან.

2020 წლიდან მის სახელზეა 23.19 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი რუსთაველის გამზირზე, რომელიც ასევე მემკვიდრეობით ხვდა წილად.

იოსელიანს ასევე, მემკვიდრეობით გადაეცა 178.400 კვ.მ. საცხოვრებელი სახლი ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე და 53.5 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე.

კონსტანტინე იოსელიანის სამემკვიდრეო სიას ასრულებს 192 კვ.მ. საცხოვრებელი ბინა და ნაკვეთი

თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ასევე 52.6. კვ.მ. ნაკვეთი ბინის სიახლოვეს, რომლის მფლობელიც მეუღლესთან ერთადაა.

იოსელიანს მემკვიდრეობით ყველა ეს ფართი 2020 წელს გადაეცა.

თინათინ ბოკუჩავა ფლობს 710 კვ.მ. საცხოვრებელ ფართობს დუშეთის რაიონ სოფელ ბულაჩაურში და ასევე ნაკვეთს, რომელიც მემკვიდრეობით 2019 წელს გადაეცა.

თინათინ ბოკუჩავას მფლობელობაშია 124.1 კვ.მ. ფალიაშვილზე მდებარე ბინის 54%, რომელსაც მაია ვარდოსანიძესთან ერთად ფლობს.

ბოკუჩავამ 2013 წელს, ასევე, 53 000 დოლარად თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე 48.5 კვ.მ. საცხოვრებელი ბინა შეიძინა.

2017 წელს, კონსტანტინე იოსელიანმა მსუბუქი ავტომანქანა TOYOTA PRIUS 2012 8 500 აშშ დოლარად შეიძინა. 2020 წელს კი მსუბუქი ავტომანქანა Fiat Abarht – 6 000 აშშ დოლარად“.

სხვათა შორის, თინა ბოკუჩავას მეუღლე, კოტე იოსელიანი თავის დროზე ანუ წლების წინ, ნაცმოძრაობის ერთგვარი სახე იყო, თუმცა ერთ-ერთ გადაცემაში, ოპონენტებზე ჰომოფობიური განცხადების გაკეთების შემდეგ, იოსელიანი „ნაცებმა“ „გარიყეს“.

კოტე იოსელიანი საზოგადოებისთვის ცნობილი მაშინ გახდა, როცა ირაკლი სესიაშვილის შვილი, ლესელიძეზე მომხდარ ქურდობასთან შესაძლო კავშირში დაადანაშაულა.

„თინა ჩემმა მეგობარმა, ივანე ბოჭორიშვილმა გამაცნო, რომელიც შვეიცარიაში ცხოვრობს. მან ბევრი რამ გააკეთა, რომ ერთმანეთს შევხვედროდით. ჩვენი გაცნობა მოხდა მოგვიანებით, სამი წლის შემდეგ.

2013 წელს, ბათუმში, პიაცაზე, ვახშამზე დავპატიჟე. არაჩვეულებრივი საღამო გავატარეთ, თუმცა შემდეგ დავშორდით და აღარ გვქონია ურთიერთობა. თინა ოპოზიციაში ყოფნის დროს დაისტრესა, მეც საქართველოში დავბრუნდი და დავქორწინდით.

თინას გაცნობამდე ცოლი არ მყოლია, მე 33 წლის ვიყავი, ის ჩემზე ორი წლით უმცროსია. ყველაზე რთულ პერიოდში, დაქორწინებაზე სწორ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებდით.

ჩვენ გვყავს 2 წლის შვილი ნიკო, რომელიც დაუშრეტელი ენერგიის მქონე ბავშვია და ჩვენი ცხოვრება სრულად შეცვალა“, – აცხადებდა კოტე იოსელიანი რამდენიმე წლის წინ, ჟურნალ „თბილისელებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ორი წლის წინ, თინა ბოკუჩავასა და კოტე იოსელიანს ტყუპი ბიჭი შეეძინათ.

„ასე გახდა ჩემი ნიკული უფროსი ძმა. Welcome to the World Luka & Sandro“, – დაწერა მაშინ სოციალურ ქსელში ბოკუჩავამ.

***

მოკლედ, ასეთია ყოფილი მმართველი პარტიის ახალი თავმჯდომარის მოკლე X-ფაილი.

ისე, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ენმ-ს ქალი უხელმძღვანელებს. რას შეცვლის პარტიაში თინა ბოკუჩვა, ამას დრო აჩვენებს, თუმცა ფაქტია, რომ პატიმრობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილი ბოკუჩავას გათავმჯდომარეობას მიესალმა.

„მხარს ვუჭერ თინა ბოკუჩავას ახალ თავმჯდომარედ არჩევას და პარტიის განახლებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს.

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მაქსიმალურად ყველა პოლიტიკური ძალის გასაერთიანებლად. ამოვიდეთ იქიდან, რომ დღეს ასეთია ხალხისა და განსაკუთრებით, ახალგაზრდობის დაკვეთა.

ენმ გადაეწყობა მთლიანად ამ მიმართულებით – ახალი სახეებით, ახალი იდეებით, რაც დაეფუძნება წარმატებული სახელმწიფოს მშენებლობის ტრადიციას და მუდმივი განახლების პროცესს.

დღევანდელი გადაწყვეტილება არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მუდმივი განახლებისა და სიმტკიცის ნიმუში“, – დაწერა მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელში...

რა მოხდა 2013-2014 წლებში, კიევის მაიდანზე

ნინო დოლიძე

ბოლო დროს ქართველი პოლიტიკოსები, როგორც ოპოზიციიდან, ასევე, ხელისუფლებიდანაც, ხშირად ახსენებენ უკრაინულ მაიდანს ანუ ქართული პოლიტელიტისთვის უკრიანული მაიდანი ერთგვარ საფრთხობელად იქცა. და მაინც, რა მოხდა ათი, უფრო სწორად, თერთმეტი წლის წინ, კიევის მაიდანზე? „ვერსია“, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, უკრაინული მაიდანის ერთგვარ ქრონოლოგიას გთავაზობთ.

დაღუპულები და ნაცემები – უკრაინის ევრომაიდნის ქრონიკა

* * *

11 წლის წინ, 2013 წლის 21 ნოემბერს, კიევში, მაიდანზე, პირველად გამოვიდნენ გაბრაზებული მოქალაქეები, ძირითადად, ახალგაზრდები. მათი პროტესტის მიზეზი იანუკოვიჩის ხელისუფლება გახდა, რომელმაც უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე და ამით ადრე დადებული პირობა დაარღვია.

პირველ დღეებში, მაიდანზე შეკრებილთა პროტესტი პერფორმანსს ჰგავდა: „იანუკოვიჩ, მოაწერე ხელი“, „ჩვენ ევროკავშირისკენ ვართ“ – სკანდირებდნენ აქციის მონაწილეები და ხელში შესაბამისი შინაარსის პლაკატები და ბანერები, ტრანსპარანტები ეჭირათ.

ერთი კვირის განმავლობაში, აქციაზე არ გაჟღერებულა არც პრეზიდენტ იანუკოვიჩის, არც პრემიერის, პარლამენტის თავმჯდომარის, ან რომელიმე თანამდებობის პირის გადადგომის მოთხოვნა, მაგრამ პროტესტის დაწყებიდან ერთმა კვირამ ყველას ნათლად დაანახა, რომ იანუკოვიჩის ხელისუფლება არ აპირებდა, ყურად ეღო ხალხის ხმა.

* * *

22-23 ნოემბერს, ევრომაიდანი გაჩნდა თითქმის ყველა დიდ ქალაქში. თავდაპირველად, პროტესტის სათავეში სტუდენტები და ახალგაზრდები იყვნენ და პოლიტიკოსთა მცდელობას, ჩაეგდოთ ხელში აქციების მართვის სადავეები, სკეპტიკურად უყურებდნენ. სწორედ 22-23 ნოემბერს უკავშირდება სასამართლოს დადგენილებები აქციების არასანქცირებულად გამოცხადებაზე, პირველი ძალადობა პოლიციის მხრიდან და აქციის მონაწილეთა დაშლა, ჟურნალისტების დათხოვნა სამსახურიდან იმის გამო, რომ ევრომაიდანზე სიმართლეს ავრცელებდნენ – ქვეყანაში ცენზურა ძალას იკრებდა.

საბოლოოდ, შეიძლება ჩამოითვალოს რამდენიმე მიზეზი, რაც კიევსა და ზოგადად, უკრაინაში, მაიდნის გამოსვლებისა და მზარდი პროტესტის საფუძველი გახდა:

„გადამგდები“ ხელისუფლება, უარი ევროკავშირს და მოტყუებული ხალხი, პოლიციის მხრიდან გამოვლენილი უკანონობა, რომელიც თანდათან ყველა ზღვარს სცდებოდა, იანუკოვიჩისა და მისი ოჯახის მიერ ხელისუფლების უზურპაცია, ცენზურა და ტოტალური კორუფცია, რეპრესიები ოპოზიციის წარმომადგენელთა წინააღმდეგ.

24 ნოემბერს, მაიდანზე უკვე 100 000-ზე მეტი გაბრაზებული მოქალაქე იდგა. ევროპის მოედანმა მიტინგზე დასწრებისა და ქუჩაში დგომის მსურველები ვეღარ დაიტია. კიევში ჩადიოდნენ ევროპელი პოლიტიკოსები, რომლებიც მხარს უჭერდნენ უკრაინის მისწრაფებას ევროკავშირისკენ და მაიდანს მხარდაჭერას უცხადებდნენ.

* * *

27 ნოემბერს, იანუკოვიჩი ვილნიუსში გაფრინდა, სადაც საბოლოოდ დაასამარა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. როცა კიევში, ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, ჟურნალისტები პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ რადისლავ სიკოსრკის შეხვდნენ, მან სევდიანად თქვა: **„თქვენმა პრეზიდენტმა რუსეთი აირჩია“.**

სტუდენტებმა, ევრომაიდნის მონაწილეებმა, პრეზიდენტს ერთობლივი წერილით მიმართეს. ისინი სთხოვდნენ სახელმწიფოს მეთაურს, გადაეფიქრებინა უარი ასოცირებაზე. ადმინისტრაციის უფროსმა სტუდენტებს პირობა მისცა, რომ პრეზიდენტი წერილს წაიკითხავდა და საჯაროდ გასცემდა მათ პასუხს.

პასუხმაც არ დააყოვნა: იანუკოვიჩის ბრძანებით, 29 ნოემბერს, კიევში, მთელი დღის განმავლობაში შემოჰყავდათ დამატებითი საპოლიციო ძალები. როცა იანუკოვიჩი უკრაინის დედაქალაქში ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გარეშე დაბრუნდა, მაიდანმა რევოლუციური გადაწყვეტილება მიიღო: იანუკოვიჩი და მისი მთავრობა, ყველანი უნდა გადამდგარიყვნენ...

სწორედ ამის შემდეგ, 30 ნოემბერს, ზუსტად 04:00-ზე დაიწყო სტუდენტური ევრომაიდნის პირველი სასტიკი დარბევა. სპეცრაზმელები სცემდნენ ქალებსაც და იმ თითო-ოროლა ხანდაზმულსაც, ვინც მაიდანზე ახალგაზრდებთან ერთად იდგა. შემზარავმა კადრებმა მსოფლიო მოიარა.

მეორე დღეს, კიევში „ღირსების რევოლუცია“ დაიწყო.

30 ნოემბერს, მიხაილოვის მოედანზე, კიევში, 100 000-ზე მეტი ადამიანი გავიდა. მაიდანმა თავდაცვითი რგოლების შექმნა დაიწყო, სადაც 4 000-მდე ადამიანი მოხალისედ ჩაეწერა. მაიდნის მონაწილეები იანუკოვიჩის გადადგომას ითხოვდნენ.

რაც დრო გადიოდა, მით მეტი ოლიგარქი და ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის წარმომადგენელი აქცევდა ზურგს ხალხისგან მოძულებულ პრეზიდენტ იანუკოვიჩს, ერთმანეთის მიყოლებით იშლებოდა რეგიონალური ფრაქციები, რომელთა ჩამოშლა, სულ ცოტა ხნის წინ, ბევრს წარმოუდგენლად ეჩვენებოდა.

პარალელურად, იანუკოვიჩიცა და მისი რეჟიმიც არ აპირებდა დათმობას და ძალაუფლებას ჯიუტად ებღაუჭებოდა. იანუკოვიჩმა ყველაზე ცუდი გადაწყვეტილება მიიღო – ის საკუთარი ხალხის ნების სისხლში ჩახშობაზე წავიდა, რამაც მას საბოლოოდ დიქტატორის, უზურპატორისა და მოღალატის სახელი დაუმკვიდრა ქვეყნის ისტორიაში.

იანუკოვიჩმა მაიდნის წინააღმდეგ აამოქმედა ყველაფერი: გავეშებული სპეცრაზმი, რომლებიც არ-ბევდნენ, კრიმინალები და „ტიტუშკები“ (უკრაინაში, „ტიტუშკების“ მეტსახელით მოიხსენიებენ სპორტული აღნაგობის ახალგაზრდებს, რომლებსაც, როგორც წესი, ხელისუფლება ოპოზიციურად განწყობილი მიტინგებისა და დემონსტრაციების დასაშლელად იყენებს. ტერმინი თანამედროვე უკრაინული ენისა და სლენგის ონლაინ-ლექსიკონშიცაა შეტანილი და ის რეალურად

დასასრული მე-15 გვერდზე

რა ქონებას ფლობს ტელეკომპანია „პოსტივის“ ერთ-ერთი მეწილე

დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძის ქონებრივი დეკლარაცია

მაკა რუხაძე

ოთხი მოწვევის პარლამენტის წევრი და „ქართული ოცნების“ გულმხურვალე წარმომადგენელია. თანაც იმდენად გულმხურვალე და მგზნებარე, რომ პარალელურად, სოზარ სუბარის „ხალხის ძალასაც“ კი წარმოადგენს. ეგრეთ წოდებული გამჭვირვალობის შესახებ კანონის მხარდაჭერის გამო, სკანდალშიც კი გაეხვა, როდესაც თავისუფლების მოედანთან ახლოს, ბოსტნეულის მაღაზიის მფლობელებმა – ცოლ-ქმარმა სულ „რუსეთის მონა“ უწოდეს, ვიდეოც გადაუღეს და სოციალურ ქსელშიც ატვირთეს. სამართლიანობა მოითხოვს და აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რაც მოგვიანებით გაირკვა – „პროტესტანტების“ მიერ, ლამის ეროვნულ გმირებად გამოცხადებული ცოლ-ქმარი, არც მეტი და არც ნაკლები, პირსისხლიანი მეგის ქარდავას ახლობლები ყოფილან... ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ამჯერად, „ვერსია“ ვიქტორ ჯაფარიძის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ვიქტორ ჯაფარიძე მესტიაში, მიწის რვა ნაკვეთის მფლობელია, რომელიც მემკვიდრეობით მიუღია. ამ ნაკვეთების ჯამური ფართობი 31 462 კვ. მეტრია. მასვე, დაბა მესტიაში, მემკვიდრეობით მიუღია კომერციული ფართი და საცხოვრებელი სახლი.

დეკლარაციიდან ისიც ირკვევა, რომ 2013 წელს, დეპუტატს 180 000 აშშ დოლარად შეუძენია 131.5 კვ.მ. ფართობის ბინა თბილისში, ჩიქოვანის ქუჩაზე. დეკლარაციის მიხედვით, ვიქტორ ჯაფარიძის მეუღლე, ნათია ხვისტანი 2012 წელს გამოშვებულ მსუბუქ ავტომობილს ML-ს ფლობს, რომელშიც 20 000 აშშ დოლარი გადაუხდია.

რაც შეეხება კომპანიებს, ჯაფარიძეს ეკუთვნის ტელეკომპანია „პოსტივის“ წილის 52% (დანარჩენი წილები შალვა რამიშვილსა და თემურ ჭარელაშვილზე ყოფილა გადანაწილებული). გარდა ამისა, დეპუტატი ფლობს შპს „სეტი პლიუსის“ 33.3%-იან წილს ოთარ ჩართოლანთან ერთად; ჯაფარიძისვე საკუთრებაშია შპს „თაბუნი“, რომლის წილსაც ოთარ მაზმიშვილი მართავს.

დეპუტატის მეუღლის, ნათია ხვისტანის საკუთრებაშია All seasons-ის წილის 50%; შპს „ქცია 94“-ის 66.9%.

კომერციული ფართის გაქირავებისთვის, ჯაფარიძეს ერთი წლის მანძილზე, 90 238 ლარი მიუღია. დეპუტატის წლიური ხელფასი კი 48 067 ლარია. დანაზოგის სახით, დეკლარაციაში მხოლოდ 29 000 ლარი აქვს მითითებული, მის მეუღლე ნათია ხვისტანს – 21 500 ლარი.

ფინანსური დარღვევები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შეამოწმა. დასკვნა, რომელიც იწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტია და მოიცავს 2022 წელს. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა სხვადასხვა სახის ფინანსური დარღვევები გამოავლინეს და დაასკვნეს, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ უწყების ფინანსური დეპარტამენტის თანამშრომლები მოქმედ კანონმდებლობას არღვევენ!

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

ხარვეზები მატერიალურ მარაგებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „მატერიალური მარაგების“ მუხლის ნაშთი შეადგენს 5 696 555 ლარს, საიდანაც 4 729 201 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე მარაგებთან დაკავშირებით, გასულ წელს ბრუნვა არ ფიქსირდება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ობიექტისგან მიღებული განმარტებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა 708 753 ლარის ისეთი მარაგი, რომელსაც ვარგისიანობის დასადგენად დამატებითი შესწავლა სჭირდება.

„ამასთან, 3 277 516 ლარის მარაგი, რომელზეც ბრუნვა არ ფიქსირდება ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით, არის დროებითი ხიდები, რომლებიც გამოიყენება მრავალჯერადად და განკარგულების საფუძველზე კონტრაქტორებს გადაეცემათ სარგებლობაში თხოვების ფორმით“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

დარღვევის გამოვლენის შემდეგ, სახელმწიფო აუდიტორებმა რეკომენდაციაც შეიმუშავეს, რაც უწყებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს:

„ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია, დეპარტამენტმა მარაგების მუხლში აღრიცხული დროებითი ხიდები შეაფასოს მისი რეალური ღირებულებით, განსაზღვროს შესაბამისი მომსახურების ვადა და აღრიცხოს ძირითად აქტივად. ამასთან, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და აქტივების ეფექტიანი მართვის მიზნით, მიზანშეწონილია, სამინისტრომ უზრუნველჰყოს მომავალი გამოყენებისთვის იდენტიფიცირება უსარგებლო აქტივებსა და გამოუსადეგარ ქონებასთან დაკავშირებით, შეაფასოს მათი შემდგომი განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები“.

ხარვეზები გრძელვადიან ფინანსურ აქტივებში

დარღვევები გამოვლინდა სამინისტროს გრძელვადიან ფინანსურ აქტივებში. აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში” შეადგენს 18 532 695 ლარს და წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ფულად და ქონებრივ შენატანებს, კომპანიების დაგროვილი აკუმულირებული ზარალის გათვალისწინებით.

„აღსანიშნავია, რომ 2019 წლამდე, სამინისტროში, სახელმწიფო საწარმოებში არსებული ყველა შენატანი აკუმულირდებოდა მუხლში – „აქციები და სხვა კაპიტალი“. 2019 წლიდან, სამინისტრომ შეცვალა მიდგომა და ფულადი შენატანები „აქციებისა და სხვა კაპიტალის“ ნაცვლად, დააკლასიფიცირა „სხვა ხარჯების“ მუხლში, როგორც „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“. 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, სამინისტრომ 2019-2020 წლებში, „სხვა ხარჯების“ მუხლში კლასიფიცირებული 53 288 198 ლარის ფულადი შენატანები რეტროსპექტულად ასახა, როგორც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის „აქციები და სხვა კაპიტალი“. გარდა ამისა, 2021 წელს, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში 11 000 000 ლარის ფულადი შენატანი, ასევე კლასიფიცირდა, როგორც „აქციები და სხვა კაპიტალი“. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის N99 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციას“, რომლის მიხედვით, საჯარო კორპორაციის მიერ, წლების განმავლობაში აკუმულირებული დანაკარგებისა და უარყოფითი საოპერაციო ბალანსის შესავსებად გადაცემული სახსრები და ასევე ინვესტირება, უკუგების და სარგებლის მიღების მოლოდინის გარეშე აღირიცხება როგორც კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“.

რაც შეეხება რეკომენდაციას, სახელმწიფო აუდიტორებს მიაჩნიათ, ორმ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით, უნდა იმსჯელოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში – „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლში 2019-2021 წლებში ფულად შენატანებთან დაკავშირებით და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ხარვეზები გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებში

დარღვევები გამოვლინდა გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებშიც. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, „მუნიციპალური განვითარების ფონდს“, „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლის ბალანსზე ერიცხება 4 141 269 ლარის დაუმთავრებელი აქტივები, რომლებზეც 2021 წელს ბრუნვა არ ფიქსირდება და შესაძლოა არ აკმაყოფილებდნენ აქტივად აღიარების კრიტერიუმს. მათ შორის, 996 359 ლარის აქტივზე 2018 წლიდან ბრუნვა არ ყოფილა, მათი სამომავლო გამოყენების გეგმა ფონდს შემუშავებული არ აქვს და 808 672 ლარის ღირებულების 2012 წლამდე წარმოშობილი აქტივების იდენტიფიცირება და ინვენტარიზაცია ვერ ხერხდება.

„აღსანიშნავია, რომ მოცემული ნაშთები იდენტიფიცირებულია ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში, რასთან დაკავშირებითაც გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია, „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ ჩაატაროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დადგინდება მათი წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ისეთი აქტივების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად“. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ, ვინაიდან ინვენტარიზაცია მოიცავს მოცემულ აქტივებს, თუმცა ფონდის მიერ აქტივების წარმოშობის საფუძვლებთან, სტატუსთან და მათი შემდგომში ეფექტიანად გამოყენებასთან დაკავშირებით, შეფასება არ გაკეთებულა“.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციით, აუცილებელია, რომ „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ სრულფასოვნად ჩაატაროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დადგინდება დაუმთავრებელი აქტივების წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ისეთი აქტივების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, უნდა იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ხარვეზები ინვენტარიზაციაში

ახლა ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ინვენტარიზაციაში. საბიუჯეტო ორგანიზაციებში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კონტროლის მექანიზმია, რომლის ერთ-ერთი მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია რწმუნების მოსაპოვებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება რეალურად არსებობს და ამასთან,

დასასრული მე-8 გვერდზე

ფინანსური დარღვევები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში

მე-7 გვერდიდან

ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი და ვალდებულება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარება მნიშვნელოვანია, როგორც ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის, ასევე, აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობის ზრდის თვალსაზრისითაც.

„სამინისტროს ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში 2021 წელს, ინვენტარიზაციის პროცესს ახლდა გარკვეული ნაკლოვანებები. კერძოდ, საავტომობილო გზების დეპარტამენტში, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია სრულყოფილად არ ჩატარებულა. სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდში" ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, უძრავი ქონების, მატერიალური და არამატერიალური აქტივებისა და დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში არ არის ჩატარებული და ინვენტარიზაციის შედეგები 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული".

აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ფინანსური აქტივების დაკარგვის რისკის შესამცირებლად, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია უნდა ჩაატარონ ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის დროს გამოვლინდა, რომ ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ წარდგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთი გაზრდილია 180 163 ლარით.

რაც შეეხება რეკომენდაციას, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია, „მუნიციპალური განვითარების ფონდმა" ჩაატაროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დადგინდება დაუმთავრებელი აქტივების წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ისეთი აქტივების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, უნდა იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ხარვეზები შრომის ანაზღაურებაში

ვნახოთ, რა დარღვევები გამოიკვეთა შრომის ანაზღაურებაში. სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდში", მთავრობის განკარგულებით განისაზღვრა საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი, სადაც მოცემულია შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება, რაოდენობა და შესაბამისი თანამდებობრივი სარგო. ფონდში მთავრობის განკარგულების საფუძველზე დამატებით არ მტკიცდება დეტალური საშტატო ნუსხა, სადაც მითითებული იქნებოდა შესაბამისი დეპარტამენტები და თანამშრომელთა თანამდებობები. ზოგიერთ შემთხვევაში, ფონდის შრომის ანაზღაურების უწყისებში ასახული თანამდებობები არ შეესაბამება მთავრობის განკარგულებით განსაზღვრულ თანამდებობებს.

„საჯარო დაწესებულებაში სახელფასო დანამატის ერთდროული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი თანამდებობისათვის, ან პოზიციისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ერთი თვის ოდენობას, ხოლო წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი სახელფასო დანამატის ოდენობა – თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 20%-ს. 2022 წელს, ფონდში დარღვეულია კანონის მოთხოვნა და „სპეციალისტის" თანამდებობაზე მომუშავე თანამშრომელზე ზედმეტად დარიცხულია 2 400 ლარის დანამატი, რაც ექვემდებარება დაბრუნებას. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ, წლის განმავლობაში მიღებული ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს".

გარდა ამისა, 2022 წელს, ფონდში დარღვეულია კანონის მოთხოვნა და ხუთ თანამშრომელზე ზედმეტადაა დარიცხული 6 875 ლარის ფულადი ჯილდო, რაც ექვემდებარება დაბრუნებას.

ხარვეზები სხვადასხვა შემოსავლებში

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა „აქტივებისა და ვალდებულებების ფლობის შედეგად მიღებული სხვა მოგების" მუხლში ასახა საავტომობილო გზის ასფალტბეტონის ანაფრეზის მიღება, რომელიც ფინანსურ ჩანაწერებში აღიარებულია, როგორც შემოსავალი და მარაგი, მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცემა ის შესაბამის მუნიციპალიტეტებს. აღნიშნული შინაარსით მიღებულმა შემოსავლებმა, 2022 წელს, შეადგინა 3 970 979 ლარი. გამოვლინდა 633 640 ლარის ღირებულების ისეთი მარაგები, რომლებზეც დეპარტამენტმა შეტყობინება მიიღო 2021 წელს, თუმცა დასაწყობების აქტები თარიღდებოდა 2019-2020 წლებით და შესაბამისად, არ წარმოადგენდა მიმდინარე პერიოდისთვის მისაკუთვნებელ შემოსავალს. მათ შორის, იდენტიფიცირებულია 58 872 ლარის მარაგი, რომელიც დუბლირებულად გატარდა. ასევე, დეპარტამენტის უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებით ფლობიდან მიღებული მოგება გაზრდილია 375 539 ლარით.

„სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდის" 2022 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების „გრანტის ხარჯის" მუხლში არ არის ასახული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პოლიციის ადმინისტრაციული შენობის 3 118 782 ლარის სამუშაოების გადაცემა; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის სოფელ ხორნაბუჯში მდებარე საბავშვო ბაღის 843 712 ლარის სამშენებლო სამუშაოების გადაცემა; ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სპორტული დარბაზისა და საცურაო აუზის 14 809 344 ლარის სამუშაოების გადაცემა; ამასთან, ფონდის 2021 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების „გრანტის ხარჯის" მუხლში ასახულია თიანეთის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული 239 617 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული კაპიტალიზირებადი ზედამხედველობის ხარჯები, რომელიც მიეკუთვნება 2021 წელს და არ წარმოადგენს 2022 წლის ხარჯს. შესაბამისად, ფონდის „გრანტის ხარჯის" მუხლი ჯამურად შემცირებულია 18 532 221 ლარით".

სამართალი

№16 12 ივნისი 2024 წ

როგორ მოექცნენ პატიმრები ციხეში კაცს, რომელმაც ქალი მეხუთე სართულიდან გადმოაგდო

რამდენი ათასი ევრო გადაუხადეს დედამ და ბიძამ ესპანეთში, ქართველი ქალის მკვლელის ადვოკატს

ბათო ჯაფარიძე

ფემიციდი, ან ფემინიციდი – ქალებზე ძალადობის უკიდურესი გამოვლინება. ეს ტერმინი მე-19 საუკუნიდან მოდის და ლათინურად, ქალებისა და გოგონების მკვლელობას (Femi – ქალი, Cide – კვლა) აღნიშნავს. ყველაზე გავრცელებული განმარტების მიხედვით, ფემიციდი არის მამაკაცების მიერ ქალების მკვლელობა იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან...

სიმართლე გითხრათ, ძალიაან ძნელია იმის გაგება, თუ რატომ ჩერდებიან ქალები ისეთი მამაკაცების გვერდით, რომლებიც მათზე ძალადობენ? ხომ ადვილი მისახვედრია, რომ დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილი პირუტყვი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად „ვერ მოზომავს“ და ყველაფერი დასრულდება ისე, როგორც უნდა დასრულდეს, თუ ამ მდგომარეობას არ გაექცევით და განერიდებით – სიკვდილით! ფემიციდი არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა, ის მსოფლიო პრობლემაა და განვითარებულ ქვეყნებში, ისეთში, როგორიც ჩვენ გვგგონია საკუთარი ქვეყანა, ან ევრკავშირის წევრ ქვეყნებსა და აშშ-ში, თითქოს, ქალთა უფლებები უფრო დაცული უნდა იყოს და ერთი შეხედვით, არის კიდეც, მაგრამ... ეს ერთი შეხედვით. მძიმე მდგომარეობაა აზიურ ქვეყნებში, სადაც ქალთა უფლებები ძალიან დაბალ დონეზეა, უფრო სწორედ, ისინი უუფლებონი არიან და ეს განსაკუთრებით ისლამურ ქვეყნებზე ითქმის. იქ ქალის სიცოცხლეს ფასი საერთოდ არ აქვს, მაგრამ... ჩვენთან აქვს კი?

2 ივნისის ღამეს, ბარსელონაში, ქართველი გოგონა მოკლეს. ჰო, მოკლეს, თუმცა ამ განცხადებით, უდანაშაულობის პრეზუმფციას არ ვარღვევ და ახლავე აგიხსნით, რატომ. სამართალდამცავებს ჰყავთ მოწმეები (და არა მოწმე), რომლებიც ამბობენ, რომ დაინახეს, თუ როგორ გადმოაგდო მამაკაცმა ქალი მეხუთე სართულიდან, გარკვეული პაუზის შემდეგ კი ეზოში თავადაც ჩავიდა, გარდაცვლილს არც შეხებია, უბრალოდ, დახედა და გაიქცა. ის იქვე მცხოვრები ბიძის (დეიდის ქმრის) სახლისკენ გარბოდა, თუმცა გზად ესპანელმა მოქალაქეებმა დააკავეს და პოლიციას გადასცეს. მანამდე კი... მანამდე, გარდაცვლილის დახმარებას ადგილობრივები ცდილობდნენ, უტარებდნენ გულის მასაჟს, ხელოვნურ სუნთქვას და ყველა თითით აჩვენებდა ერთ ქალზე, რომელიც იდგა და სიგარეტს ეწეოდა. ეს გარდაცვლილი ნ.გ.-ს დედამთილი გახლდათ, რომელიც იმ დროს სახლში იმყოფებოდა. მას რძლის დახმარება არც უცდია, არც კი შეხებია...

დაკავებიდან შვიდ საათში, მკვლელობაში ეჭვმიტანილ ბ.ი.-ს ბრალი სამი მუხლით – მკვლელობა, ფემიციდი და დანაშაულის ადგილიდან მიმალვის მცდელობა წაუყენეს. როგორც ბარსელონაში მცხოვრები ქართველები გვეუბნებიან, ბიძამ და დედამ მას საკმაოდ ძვირადღირებული ადვოკატი დაუქირავეს, რომელსაც პირველ ეტაპზე, 15 ათასი ევრო გადაუხადეს, ხოლო თუ ადვოკატი დაპირებას შეასრულებს, ერთ ამდენს კიდევ მიიღებს, მისი დაპირება კი ის გახლავთ, რომ ბრალდებულს ციხიდან, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, ორი წლის შემდეგ გამოაშვებინებს.

მომხდარიდან მალევე, ეჭვმიტანილის დედამ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მისმა რძალმა თავი მოიკლა. ამის მიზეზი კი, თურმე, ეჭვიანობა გახლდათ. რძალი მის შვილზე ერთ-ერთ ბარში მომუშავე გოგოს გამო ეჭვიანობდა თურმე, სადაც მისი შვილი ხშირად დადიოდა. ერთი შეხედვით, ეს ვერსია რეალობას ჰგავდა და რაც მთავარია, პოლიციელებთან ზუსტად იგივე გაიმეორა შვილმაც, მეტიც, მან იგივე თქვა მაშინ, როცა კამერაში შეუშვეს და იქ სხვა ქართველი მსჯავრდებულები დახვდნენ, თუმცა ამაზე ქვემოთ.

პოსტის გავრცელების შემდეგ, დედას ბევრმა მიუსამძიმრა, გარდაცვლილი გოგონას მეგობრებმაც კი, მაგრამ ყველაფერი ეს, რამდენიმე საათს გაგრძელდა, მერე გაირკვა სიმართლე, მერე გამოჩდნენ თვითმხილველები და დედამ, ყველა ჯგუფსა თუ სოციალურ ქსელში დადებული სტატუსები, უბრალოდ, აიღო, გააქრო. არ გამოვიდა თვითმკვლელობის სცენის გათამაშება და რაც მთავარია, დედა-შვილმა ვერ გათვალა, რომ შესაძლებელი იყო, ამ ამბავს მოწმეც ჰყოლოდა.

ესპანური პოლიციის ცნობით, წყვილთან სამართალდამცავები პირველად, გასული წლის აგვისტოში, მეზობლებმა გამოიძახეს. მათ ჩხუბის ხმა შემოესმათ და ძალოვნებსაც ამიტომ უხმეს. იმის მიუხედავად, რომ პოლიციამ გოგონას სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანება (სისხლჩაქცევები, სილურჯეები, ნაკაწრები) აღმოაჩნა, მან განცხადების დაწერაზე უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ ყველაფერი სანაპიროზე, ცურვის დროს დაემართა. ძლიერმა ტალღებმა ქვიან ნაპირს მიახეთქა, რაც სიმართლე არ იყო და ეს გახლდათ გოგონას უდიდესი შეცდომა. შემდეგ, პოლიციის გამოძახება მეზობლებს უკვე სექტემბერში დასჭირდათ, რაც კვლავ იგივე შედეგით დასრულდა – გოგონამ ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა და სილურჯეების მიზეზად ისევ ბუნებრივი მოვლენა დაასახელა. მეზობლები ჰყვებიან, რომ ამ ამბის შემდეგ, გოგო საცხოვრებლად ცალკე გადავიდა.

დაახლოებით, ერთი თვის წინ, წყვილი ისევ შერიგდა და ბიჭმა გოგოს ხელი ოფიციალურად სთხოვა. თითქოს, ყველაფერი დამშვიდდა, ორი-სამი კვირა ყველაფერი ნორმალურად იყო, მაგრამ... შემდეგ, მოხდა ის, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა და საუბედუროდ, ეს ამ ურთიერთობის ლოგიკური დასასრული იყო. ჰო, ლოგიკური, რადგან ერთხელ, ორჯერ თუ ათჯერ, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული ადამიანი სწორედ ასე იქცევა. მას აღარ სჯერა, რომ დაიჭერენ, მას გოგო უკვე საკუთრებად მიაჩნია, თავის სათამაშოდ, რომელსაც როგორც სურს, ისე მოექცევა და აკი, მოექცა კიდეც. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მას სჯერა, ციხეს ძალიან მალე რომ დატოვებს და მორიგ მსხვერპლსაც მარტივად მოძებნის. ევროპა დიდია, არ გაუმართლებს ესპანეთში, სხვა ქვეყნაში გადავა, იქ, სადაც არავინ იცნობს, თუმცა ამისთვის ჯერ ციხიდან უნდა გამოვიდეს... ცოცხალი უნდა გამოვიდეს.

მისი დაკავების შემდეგ, ის წინასწარი იზოლატორიდან ციხეში მალე გადაიყვანეს. კამერაში შესულმა ქართველ პატიმრებს მოუყვა ის ვერსია, რომელიც დედასთან ერთად შეიმუშავა, თუმცა მეორე დღეს, საინფორმაციო საშუალებებმა და ქალების აქციებმა ბარსელონა წალეკეს. სიმართლე ყველამ გაიგო, გაიგეს დაკავებულის თანამოსაკნეებმაც, არც ზემდეგებს დაუმალავთ, რომ ახალი პატიმარი მკვლელობის ბრალდებით იყო დაკავებული. ჰოდა, ამის შემდეგ მოხდა ის, რაც ხდება ხოლმე – პატიმრები დაკავებულს ფიზიკურად გაუსწორდნენ და მან ტირილითა და ღრიალით, ზემდეგებს გააგებინა, რომ სხვა კამერაში სურდა გადასვლა. ზემდეგებმა სურვილი აუსრულეს, თუმცა იქაც ქართველები დახვდნენ და დაკავებული უკვე მეორედ გაილახა. მკვლელობაში ეჭვმიტანილმა ადვოკატთან ისაუბრა, რის შემდეგაც, ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, ის სამარტოო საკანში გადაიყვანეს. უდიდესი ალბათობით, ძიების დასრულებამდე, სწორედ სამარტოო საკანში იქნება გამოკეტილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს, სამარტოო საკანში აღარავინ გააჩერებს და საერთო ტიპის დაწესებულებაში უკრავენ თავს. არავინ ამბობს, რომ მას აუცილებლად მოკლავენ, მაგრამ ქართველი პატიმრების ახლობლები გვიყვებიან, რომ მას უკვე აუკრძალეს საერთო მაგიდასთან დაჯდომა და საკვების მიღება, ეს მან კუთხეში, იატაკზე უნდა გააკეთოს, აუკრძალეს საერთო ნივთებით სარგებლობა და ეჭვი გვაქვს, სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ, ეს ყველა პროცედურა უფრო გამკაცრდება.

ისეთი შეგრძნება გვაქვს, რომ ამ ამბის გაგრძელება აუცილებლად იქნება.

რატომ მოკლა დამ და საფანტის პისტოლეტით

სისხლიანი ოჯახური დრამა

ბათო ჯაფარიძე

ალბათ, ყველას ჰქონია შემთხვევა, როცა სამსახურში კოლეგები ზურგს უკან ებრძვიან, როცა შურთ და არ ამჟღავნებენ, მაგრამ უფროსთან ენები მიაქვთ, ცდილობენ გააშაონ, რომ მერე, წარმატებული კარიერა წყალმა წაიღოს და მის ადგილზე, სწორედ ისინი მოვიდნენ. სამწუხაროდ, განსაკუთრებით დღეს, ასეთი რამ უცხო არ არის და ამიტომაც, ძველებური ნდობა თუ ურთიერთგაგება სამსახურებში ნაკლებადაა, ერთმანეთის გატანა, ჭირში გვერდით დგომაც სულ უფრო იშვიათია... გულწრფელ გვერდში დგომას ვგულისხმობ, თორემ მოწყენილი სიმბოლოს დადება სოციალურ ქსელში ყველას ეხერხება.

სწორედ ასე იყო იმ შემთხვევაშიც, რომელზეც ახლა გიამბობთ. კომპანიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა იმდენი მოახერხა, რომ მოკლე დროში, ხელმძღვანელობის ნდობა დაიმსახურა. როცა გაირკვა, რომ ერთ-ერთი თანამშრომელი მივლინებაში უნდა წასულიყო რომში, „შეფებს“ ბევრი არ უფიქრიათ, მაშინვე გამოაცხადეს, რომ იტალიის დედაქალაქში, სწორედ ის ქალბატონი წავიდოდა, რომელმაც მოკლე დროში მოახერხა მათი გულის მოგება. ქალი შინ ბედნიერი დაბრუნდა, ძალიან სურდა, რომ ყველაფერი ქმრისთვის ეთქვა და მას მოუთმენლად ელოდა. ამ დროს, სადარბაზოში თითქოს იარაღის გასროლის ხმა გაისმა და სანამ დამფრთხალი ქალი ფიქრობდა რა მოხდა, ერთ წუთში, კარი ქმარმაც შეაღო.

„რა სროლა, რა იარაღი? ბავშვები აფეთქებენ ახალი წლიდან შემორჩენილ პეტარდებს. ნუ გეშინია, არავინ მოუკლავთ“, – უთხრა ქმარმა და როცა გაიგო, რომ ცოლი მივლინებაში მიდიოდა, მასზე მეტად გაუხარდა, მიულოცა და ცოლს ცოტა გაუკვირდა კიდეს, ასე ძალიან რატომ უხაროდა მის მეუღლეს.

იმავე საღამოს ყველაფერი თავდაყირა დადგა. მეზობლებმა, იმ სართულზე, სადაც ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, ქალის გვამი იპოვეს. მას თავში საფანტის მცირე ნაწილაკი ჰქონდა მოხვედრილი, თუმცა ეს სიკვდილისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

„ეს არ არის ცეცხლსასროლი იარაღი, ეს არის საფანტის პისტოლეტიდან ნასროლი, მაგრამ მკვლელი ძალიან ახლოს იდგა გარდაცვლილთან და თან, პირდაპირ საფეთქელში ესროლა. ნებისმიერ სხვა ადგილზე სროლა, ალბათ, სიკვდილს არ გამოიწვევდა“, – ამბობდა ექსპერტი.

რაღა თქმა უნდა, სამართალდმაცავებმა პირველ რიგში კარის მეზობლები დაჰკითხეს და ქალმა თქვა, რომ როცა გასროლის ხმა გაიგონა, რომელიც საახალწლო ასაფეთქებელი ეგონა, მისი ქმარი... უკვე სახლში იყო.

„ამ სახლში ჩვენი მეგობარი ქალი ცხოვრობდა, ის, რომელიც მოკლეს. მასთან მხოლოდ და მოდიოდა ხოლმე სტუმრად, ისიც იშვიათად, მასზე 4 თუ 5 წლით პატარაა. ძალიან მშვიდ ცხოვრებას ეწეოდა, არაფერი შეგვიმჩნევია, როცა სადმე დიდი ხნით მიდიოდა, გასაღებს ჩვენ გვიტოვებდა ხოლმე და ჩვენც, თუ სადმე მივდიოდით, ჩვენი გასაღები მას ჰქონდა. წარმოდგენა არ მაქვს, ვის შეიძლებოდა ასე გაემეტებინა ანგელოზივით გოგო“, – განაცხადა ქალმა.

იგივე თქვა ქმარმაც და გამოძიებას მათთან კითხვები აღარ ჰქონია, თუმცა მორიგი განსაცდელი ქალს სამსახურში ელოდა. როცა ის დილით სამსახურში მივიდა, უფროსმა დაიბარა და უთხრა, რომ მივლინებით ვეღარ წავიდოდა, რადგან მათ არაფერი იცოდნენ ქალის ფსიქიკური პრობლემების შესახებ, არ იცოდნენ, რომ ის ფსიქიატრიულში აღრიცხვაზე იმყოფებოდა, რომ იმ დღეს ფსიქიატრთან ვიზიტი ჰქონდა დაგეგმილი. ქალი ყველაფერ ამას პირდაღებული უსმენდა და გამუდმებით იმეორებდა – „არა, არა!“

„რა, არა? ჩვენთან დარეკა ქალმა, გაგვეცნო, როგორც ცნობილი ფსიქიატრი, გვითხრა, რომ შეგვეხსენებინა თქვენთვის, გასაუბრებაზე მისულიყავით, რადგან წინა ვიზიტი, თურმე, გააცდინეთ და თუ ახლაც გააცდენთ, შედეგები, შესაძლოა, სავალალო იყოს. მას არც სახელი და გვარი დაუმალავს, გადავამოწმეთ და ძალიან ცნობილი ფსიქიატრია“, – მშვიდად საუბრობდა უფროსი.

ქალი უხმოდ გავიდა მისი კაბინეტიდან და პირდაპირ სამართალდამცავ ორგანოებს მიადგა, აქაოდა, მიშველეთ, ჩემს თავს რაღაც ხდება და ვერ ვხვდებიო. ის ჯიუტად ამტკიცებდა, ფსიქიატრებთან შეხება არასდროს მქონია, არც კი ვყოფილვარ მაგ ტიპის საავადმყოფოში და ვიღაცას, ალბათ, უნდა, რომ იქ გამომკეტოს, სხვას რას მივაწერო ეს ყველაფერი, არ ვიციო. გამომძიებლები ფსიქიატრიულში წავიდნენ, ის ექიმი ნახეს და მორიგი გაოცება იქ ელოდათ.

„რა? მე ვინმეს დავურეკე და კონსულტაციაზე მისვლა ვუთხარი? იცით, ჩემი გამოცდილების ადამიანები უკვე აღარსად რეკავენ, ამისთვის არსებობს რეგისტრატურა, მდივანი... ნამდვილაად არ ვაპირებ, პაციენტებს ქუჩა-ქუჩა ვდიო, ამის არც საჭიროება მაქვს, არც სურვილი. ვინ დაურეკა იმ ქალს, წარმოდგენა არ მაქვს და თუ ჩემი სახელი გამოიყენა, თქვენ გაარკვიეთ, მე მთელი საქართველო მიცნობს“, – განაცხადა ექიმმა.

გამოძიებამ იმაზეც კი დაიწყო ფიქრი, წინა ღამით მომხდარი მკვლელობა, ამ საქმეს ხომ არ უკავშირდებაო, მაგრამ კვალი ვერ იპოვა და საქმეები კვლავ ცალ-ცალკე დატოვა. სამსახურში ქალის წარმატება ბევრს რომ არ უხაროდა, მალე გაარკვიეს, მაგრამ ვინ შეიძლებოდა წასულიყო ყველაფერ ამაზე? ცუდი ის გახლდათ, რომ უფროსობა გაჯიუტდა, გამოდის, ეს თანამშრომელი არ უყვართ და მერე რა, რომ ამდენს მიაღწია, კოლექტივს ვერ დავანგრევთ ერთი კადრის გამო და ამიტომ, მივლინება კი არა, ალბათ, სამსახურიდან წასვლა მოუწევსო. ამასობაში, ნაგვის გატანის დროს, მენაგვეებმა იარაღი შენიშნეს და რა თქმა უნდა, სამართალდამცავები გამოიძახეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს სწორედ მკვლელობის იარაღი გახლდათ და მასზე ერთი მკაფიო ანაბეჭდი ჩანდა. ძალოვნების სამწუხაროდ, ეს ანაბეჭდი ბაზაში არ იყო, მაგრამ რადგანაც მთელი სამეზობლო ამტკიცებდა, ეზოში უცხო არავინ დაგვინახავსო, გადაწყდა, ანაბეჭდები ყველა მეზობლისთვის აეღოთ და... იარაღზე გარდაცვლილის მეზობლის ანაბეჭდები აღმოჩნდა, იმ კაცის, რომელიც გასროლის ხმის შემდეგ, ერთ წუთში შინ შევიდა.

„მე არ მომიკლავს. გეფიცებით, არ მომიკლავს და რომ მომეკლა, ტანსაცმელზე, ხელზე, დენთის კვალი ხომ უნდა მქონდეს? უბრალოდ, დავინახე დაგდებული იარაღი, შემეშინდა, ასეთებში ვერ ვერკვევი, ავიღე და სანაგვეში მოვისროლე“, – ამბობდა დაკავებული და გამოძიების სამწუხაროდ, სიმართლესთან ძალიან ახლოს იყო, რადგან შეუძლებელი გახლდათ, ასე მოკლე დროში დენთის კვალის წაშლა, ის კი, უბრალოდ, არ ჩანდა.

თუმცა, გამომძიებელი ეჭვობდა, რომ ეჭვმიტანილმა მკვლელი დაინახა და ხელს აფარებდა. შეიძლებოდა თუ არა ეს მისი ცოლი ყოფილიყო? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ ქმრის დაკავების შემდეგ, ის აშკარად სხვანაირი გახდა, თითქოს, რაღაცის თქმა სურდა და ვერ ამბობდა. ამასთან, გარდაცვლილის ბინაში სამართალდამცავებმა დაკავებული მამაკაცის უამრავი ანაბეჭდი იპოვეს, როგორც სამზარეულოში, ისე სააბაზანოს კარზე და ლოგინზეც კი. ძალიან, ძალიან დიდი გახლდათ შანსი, რომ დაკავებული გარდაცვლილის საყვარელი იყო და ძიებაც ამ მიმართულებით წავიდა. დაკითხვაზე დაიბარეს გარდაცვლილის დაც, აინტერესებდათ, იცოდა თუ არა რამე მეზობლების ურთიერთობაზე, მაგრამ როგორც კი გოგონა გამომძიებლის ოთახში შევიდა, მაშინვე მუხლებში ჩაიკეცა, თავი ხელებში ჩარგო და მოთქმა დაიწყო – „არ მინდოდა, არ მინდოდა“... გამომძიებელმა ცოტა ხანს აცადა, მერე წინ დაისვა და რაც შეიძლება, მშვიდად უთხრა – დაიწყე!

დაკავებული ჩემი დის კი არა, ჩემი საყვარელია. ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს, დაქორწინებასაც ვაპირებდი. მის მეუღლესთან დაქალი მუშაობს და ის მიყვებოდა ხოლმე მის ამბებს. როცა გავიგე, რომ მივლინებაში მიდიოდა, მივხვდი, კარიერას იწყობდა და ქმარი არ მიატოვებდა, წარმატებული ქალებისგან არ გარბიან. დავრეკე და ვუთხარი, ვითომ ფსიქიატრი ვიყავი, მერე ჩემს დასთან მივედი და მის საძინებელში ჩემი საყვარელი მამაკაცის მაისური ვნახე, ვკითხე, საიდან-მეთქი და ერთმანეთს ვხვდებითო. საფანტის იარაღი ადრე ვიპოვე და მას შემდეგ სულ თან ვატარებდი. ამოვიღე და ვისროლე. მერე მივხვდი, რომ მოკვდა, მეგონა, უბრალოდ, ეტკინებოდა. სროლის ხმაზე ის კაცი შემოვარდა, ისე ვიყავი გაოგნებული, ვერაფერი ვუთხარი. თავად მიჯიკა, წადი, თვალში არავის მოხვდეო, იარაღი კი აიღო და მაისურით გაწმინდა. არ ვიცი, ალბათ, გადაგდებისას თავისი ანაბეჭდების წაშლა დაავიწყდა“, – ტიროდა ქალი.

რა თქმა უნდა, წყვილი დაშორდა, მამაკაცი დანაშაულის დამალვისთვის გაასამართლეს, გოგო – დის მკვლელობისთვის, მაგრამ ყველაფერი ამით არ დასრულებულა – ქალს სამსახურში კიდევ კარგა ხანს მოუხდა იმის მტკიცება, რომ დამნაშავე მისი თანამშრომლები კი არა, მისი ქმრის საყვარელი იყო. ის მივლინებაში გაუშვეს, თუმცა იქიდან დაბრუნებული სამსახურიდან გაათავისუფლეს, აქაოდა, დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვაო.

ბათო ჯაფარიძე

ჩვენს თაობას ეგონა, რომ მასწავლებლები საპირფარეშოში არ დადიოდნენ, რომ მასწავლებელი ყველაზე მცოდნე და ყველაზე ჭკვიანი იყო... მასწავლებელს ჰქონდა ურყევი ავტორიტეტი და ბავშვები, წლების შემდგაც კი, უკვე ზრდასრულ ასაკში, მოწიწებით ესალმებოდნენ ღვაწლმოსილ პედაგოგებს. მერე და მერე, თითქოს რაღაც შეიცვალა, თითქოს რაღაც გაქრა. ყოველ შემთხვევაში, ადრეული მოწიწება და რიდი დაიკარგა. სამწუხაროდ, ბოლო დროს, მოსწავლეები სულ უფრო შეეჩვივნენ, რომ მასწავლებლის ნებისმიერი შენიშვნა, შესაძლოა, ძალადობად შეაფასონ, მანდატურთან გაიქცნენ... ჩვენ დროს კი, მანდატურები არ იყვნენ და ყველაფერი, თითქოს, ბევრად მარტივად წყდებოდა.

ვინ და რატომ გაუსწორდა ფიზიკურად ისტორიის მასწავლებელს

მექრთამე დირექტორი და ბანქოს მოთამაშე მოსწავლეები

პოლიციის განყოფილებაში, მოსწავლის მშობელი მივიდა და განაცხადა, რომ ისტორიის მასწავლებელმა მისი შვილი სასტიკად სცემა. რა თქმა უნდა, სამართალდამცავებს თავიდან გაეღიმათ, რადგან მცირე ნაკაწრიც კი, მშობელს სასტიკი ცემა ჰგონია, მაგრამ როცა მე-10 კლასელი ბავშვი ნახეს, მიხვდნენ, რომ საქმე სერიოზულად იყო, მას თვალი ჰქოდნა ჩალურჯებული, ტუჩი გახეთქილი და ტანზეც სისხლჩაქცევები ეტყობოდა.

„ორი დღის წინ, მასწავლებელმა დაბალი ნიშანი დამიწერა. მოგეხსენებათ, სასწავლო წლის ბოლოა და გამოსწორება მინდოდა, ამიტომ სკოლაში მომერიდა ამის თქმა, შანსი მომეცი-მეთქი და სახლთან დავხვდი. მან კი, როგორც დამინახა, სადარბაზოში შემათრია და ცემა დამიწყო. თავიდან ისე დავიბენი, ვერც მივხვდი, რა ხდებოდა, მხოლოდ მერე გავუსხლტი ხელიდან და გავიქეცი. შინ მისულმა, ყველაფერი დედას ვუამბე“, – ასეთი იყო ბიჭის ჩვენება.

რა თქმა უნდა, პოლიცია მასწავლებლის სანახავად წავიდა და ისიც გვარიანად იყო ნაცემი, თუმცა სახეზე არაფერი ეტყობოდა, აი, ტანზე კი, სისხლჩაქცევები ჰქონდა. ბიჭმა ჩვენებაში ისიც თქვა, სახემდე ვერ ვწვდებოდი, ძირს რომ ვეგდე, ფეხებს ვიქნევდი და სხეულზე ხვდებოდაო. ჩვენება იყო, დანაშაულის ნიშნებიც აშკარად, მაგრამ...

„გუშინ, საღამოს სახლში ვბრუნდებოდი, სადარბაზოში შევედი და თავს ორი პიროვნება დამესხა, წამაქციეს, წიხლები მირტყეს, ჩანთა გაიტაცეს და წავიდნენ. არადა, ჩანთაში რვეულებისა და წიგნების მეტი არაფერი მედო და წარმოდგენა არ მაქვს, ვის რად უნდოდა? ხმაურზე მეზობელი გამოვიდა, ის მომეხმარა სახლში ასვლაში“, – ეს იყო მასწავლელბის ჩვენება და სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს. გამოდიოდა, რომ ვიღაც ტყუოდა და ვინ, ეს სწორედ მათ უნდა გაერკვიათ.

„დიახ, ჩემს სადარბაზოში გუშინ ჩხუბი იყო, ხმაურზე გავედი და დავინახე, რომ ჩემი მეზობელი ბეტონის იატაკზე ეგდო. ვინ და რატომ ურტყამდა, არ ვიცი, მე თავდამსხმელები არ დამინახავს, მაგრამ ერთი ვერ მოერეოდა, სავარაუდოდ, ორნი ან სამნი იყვნენ, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, მე არავინ დამინახავს“, – განაცხადა მეზობელმა და რაც ყველაზე საინტერესოა, მოსწავლის, მასწავლებლისა და მეზობლის მიერ დასახელებული დრო ერთმანეთს ასი პროცენტით ემთხვეოდა. ახლა, იმის გაგება იყო საჭირო, როგორ ხასიათდებოდა სკოლაში მასწავლებელი და მოსწავლე. ამიტომ, გამომძიებელმა დირექტორის კაბინეტის კარი შეაღო.

„დიდი ხანი არ არის, რაც ეს მასწავლებელი ჩვენთან ასწავლის. წინა სკოლიდან იმის გამო გამოაგდეს, რომ ბავშვს სხვების თანდასწრებით შემოარტყა. მეგონა, ეს კარგი გაკვეთილი იქნებოდა მისთვის, მითხრეს, ძალიან ძლიერი სპეციალისტიაო, მოვიყვანე, ბევრი ემადლიერება, მაგრამ ბევრი მიიჩნევს, რომ ბავშვებს ჩაგრავს, იმაზე მეტს სთხოვს, ვიდრე სასკოლო პროგრამაში წერია და მასთან დადებითი ნიშნის მიღება გმირობაა. სასწავლო წლის ბოლოს, ისედაც გაშვებას ვაპირებდი და თუ ახლა ცემის გამო დააკავებენ, ავტომატურად გაშვებული იქნება. რაც შეეხება მოსწავლეს, ჩვეულებრივი ბიჭია, არც ბრწყინავს, არც მაჩანჩალაა. მასზე აუგის თქმა არ შემიძლია,ზრდილობიანია, მოწესრიგებული“, – განაცხადა დირექტორმა.

„ჩვენ ხმამაღლა რომ გითხრათ, რასაც წარმოადგენს ის მოსწავლე, რომ წახვალთ, მეგობრებთან ერთად გვცემენ. ამიტომ, ვამჯობინეთ ცალკე საუბარი. ისინი ჩვეულებრივი, მოხულიგნო ელემენტები არიან, ეს მოსწავლე და კიდევ ორი. დირექტორს, მგონი, ეშინია მაგათი და ცუდს იმიტომ არ ამბობს. მასწავლებელს რაც შეეხება, ახლა გავიგეთ, თურმე, რა საინტერესო ყოფილა ისტორია და რამდენი რამის სწავლა შეიძლება კლასგარეშე ლიტერატურით. გამორიცხულია, მოსწავლისთვის ხელი დაერტყა, აი, ესენი კი, შეიძლება, საცემრად მართლა დახვდნენ“, – გამომძიებლებს ეს სიტყვები ნაცემი ბიჭის თანაკლასელებმა საიდუმლოდ უთხრეს და ძალოვანმა კვლავ დირექტორთან გასაუბრება გადაწყვიტა.

„კარგი, არ მინდოდა მეთქვა და ახლა გეტყვით – ზუსტად იმ დღეს, როცა სცემეს, მე ის ქრთამის აღების ფაქტზე დავიჭირე. მე დავინახე მშობელი, რომელიც მასთან შედიოდა, მანამდე კი, ფული ამოიღო და კონვერტში ჩადო. ცოტა ხანში, კარი შევაღე და დავინახე, რომ ის კონვერტი ხელში, სწორედ ისტორიის მასწავლებელს ეჭირა. არაფერი მითქვამს, ავერიდე სკანდალს, თანაც მაინც გაშვება მინდოდა და გავჩერდი, სასწავლო წლის დასრულებამდე, ხომ ერთი თვეც არ დარჩა“, – განაცხადა დირექტორმა და ისიც დააყოლა, ის ბავშვი, ვის გამოც მასწავლებელს ქრთამი მისცეს, სხვა საგნებს კარგად სწავლობს, ამის საგანში კი დაბალი ნიშანი ჰყავსო.

ახლა, საჭირო იყო, რომ სამართალდამცავებს ის მშობელი ენახათ და სიმართლე მისგან გაეგოთ.

„თქვენ ამას სკოლას ეძახით? დირექტორის გამო, მასწავლებლები მაღალი ნიშნის დაწერას ერიდებიან, რადგან დირექტორი ჩხუბობს, მერე მშობლებს იბარებს და ფულს ართმევს, ალბათ, მასწავლებლებს უყოფს, რადგან ნიშნები მაშინვე გამოსწორდება ხოლმე. თანაც, ყველაფერი ისე ხდება, ეჭვს ვერავინ მიიტანს, დირექტორი ამბობს, რომ ბავშვს დამატებით სჭირდება მომზადება, რომ მოამზადებენ და ვითომ რეპეტიტორის ფულს იღებს. ისტორიის მასწავლებლის ნახვა პირადად გადავწყვიტე, იმდენი თანხა ვერ მოვაგროვე, რამდენიც საჭირო იყო და მინდოდა მეთქვა, რომ ჩემი შვილისთვის შეღავათი გაეწია. თუმცა, მოხდა ის, რასაც არ ველოდი. როცა მივედი და მაგიდაზე კონვერტი დავუდე, აიღო, ჩახედა და მკითხა, ეს რა არისო? მეც, როგორც მიჩვეული ვიყავი, ვუპასუხე, მინდა, ჩემს შვილს დამატებითი მეცადინეობები ჩაუტაროთ-მეთქი. კონვერტი გაკეცა, უკან დამიბრუნა და მითხრა, თქვენი შვილი ძალიან ნიჭიერია, მინდოდა დაბალი ნიშნით ცოტა სტიმული მიმეცა. რადგან მან გადაწყვიტა, რომ დამატებითი გაკვეთილები სჭირდება, დაე, იყოს ასე, ოღონდ, ამაში ფულს ვერ ავიღებ, ისე მოვამზადებ თქვენს შვილსო. მერე მივხვდი, რომ ეს ისტორიის მასწავლებელი მართლა სხვანაირია, ბავშვები კი ამბობდნენ, ცოტა უცნაურიაო, მაგრამ უცნაური კი არა, პატიოსანი ყოფილა“, – თქვა მშობელმა.

ყველა ცუდი კვალი დირექტორისკენ მიდიოდა, მაგრამ... ვინ და რატომ სცემა ან მასწავლებელი, ან მოსწავლე? ძიება ნელ-ნელა რწმუნდებოდა, რომ მასწავლებელი მართლაც არაფერ შუაში იყო, მაგრამ მაშინ, ვინ?! მათ დაზარალებული მოსწავლის გარემოცვის შესწავლა დაიწყეს და მალე დაადგინეს, რომ ის უბანში არცთუ იშვიათად, ბანქოს თამაშობდა და ასევე, არცთუ იშვიათად, გვარიან თანხას აგებდა. როგორც გაირკვა, მას იმ პერიოდისთვის ფული ორი ბიჭისთვის ემართა და სამართალდამცავებმაც სწორედ ისინი დააკავეს, ბრალად კი გამოძალვა წაუყენეს.

„რა გამოძალვა, უფროსო? იმ დებილს ჩვენი ვალი ჰქონდა, გვითხრა, ასე დაბრუნება არ შემიძლია, მაგრამ გეტყვით პიროვნებას, რომელსაც ჩანთაში იმაზე მეტი ექნება, ვიდრე თქვენი ვალი მაქვსო. ჩვენც დავხვდით, იმ პირს ერთი წავარტყით, წაიქცა და ჩანთა გავტაცეთ. მასწავლებელი აღმოჩნდა, რვეულებისა და წიგნების მეტი ჩანთაში არაფერი იყო, ჰოდა, ის დებილი ვცემეთ იმიტომ, რომ მოგვატყუა. ჩვენი ქმედება, მაქსიმუმ, ხულიგნობად შეიძლება შეფასდეს და არა – ძარცვად“, – კმაყოფილები იყვნენ დაკავებულები, მაგრამ მალევე აუხსნეს, რომ ჩანთის გატაცება ხულიგნობას კი არა, ძარცვას გულისხმობდა. ახლა საჭირო იყო, დაზარალებული მოსწავლის დაკითხვა. როცა მან დაკავებულები დაინახა, მიხვდა, დამალვას აზრი არ ჰქონდა და მათი ჩვენება დაადასტურა.

„აბა, რა უნდა მეთქვა? სახლში ხომ ვერ ვიტყოდი, ფული წავაგე-მეთქი? ეგ მასწავლებელი კი ისედაც არ მომწონდა, ამიტომ ვთქვი ის, რაც ვთქვი. ამას რომ ნორმალური ნიშნები დაეწერა ჩვენთვის და პროფესორობა არ დაეწყო, აქაოდა, ისწავლეთო, არაფერი მოხდებოდა“, – განაცხადა ბიჭმა.

ძიების პარალელურად, სკოლაში განათლების სამინისტროს ინსპექცია შევიდა და დირექტორი თანამდებობიდან მალევე გაათავისუფლეს. მის ადგილზე, მთავარ კანდიდატად ისტორიის მასწავლებელი განიხილებოდა, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა, აქაოდა, მერე ბავშვებისთვის ცოტა დრო დამრჩება და საგანს ისე ვერ ვასწავლი, როგორც მე მინდაო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები UEFA-ს 2024 წლის ჩემპიონატის უსაფრთხოდ ჩატარებაში მიიღე ბენ მონაწილეობას

2024 წლის 14 ივნისიდან 14 ივლისამდე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში UEFA-ს 2024 წლის ევროპის ფეხბურთის ჩემპიონატზე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და საზოგადოებრივ საქმეთა ფედერალურ სამინისტროსა და ფედერალური პოლიციის ინიციატივით, დაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების, ასევე, მასპინძელი ქვეყნის პოლიციის დანაყოფებისთვის ხელშეწყობის მიზნით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიწვეულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და საზოგადოებრივ საქმეთა ფედერალურ სამინისტროებს შორის, განზრახულობათა ერთობლივ დეკლარაციას ხელი მოეწერა.

მიმდინარე წლის 8 ივნისს, ბამბერგის სასწავლო ცენტრში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ათი თანამშრომელი გაემგზავრება, რომლებიც 10 ივნისიდან 13 ივნისის ჩათვლით, სხვა ქვეყნების პოლიციის ოფიცრებთან ერთად გაივლიან ერთობლივ სასწავლო კურსს.

კურსის დასრულების შემდეგ, ისინი გადანაწილდებიან აეროპორტებში, ასევე, რკინიგზის სადგურებში და გერმანული პოლიციის ოფიცრებს ქართველ გულშემატკივართან ეფექტურ კომუნიკაციასა და მართლწესრიგის დაცვაში დაეხმარებიან.

10 ივნისს, ფუნქციონირებას იწყებს ევროპის ჩემპიონატის დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შექმნილი საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ცენტრი, რომელიც განთავსებული იქნება გერმანიის რესპუბლიკაში, ქალაქ ნოისში.

ცენტრი, რომელიც შედგება ეროვნული ფეხბურთის 300-ზე მეტი საინფორმაციო ცენტრების მეკავშირე ოფიცრებისა და მობილურ ჯგუფებში განაწილებული ფეხბურთის სპოტერებისგან, ჩემპიონატის ფარგლებში ჩასატარებელ საფეხბურთო მატჩებზე საერთაშორისო საპოლიციო ინფორმაციის ოპერატიულ და უწყვეტ გაცვლას, რისკების შეფასებასა და ანალიზს უზრუნველჰყოფს. ასევე, განახორციელებს ღონისძიებების ჩატარებისა და გულშემატკივართა შეკრების ადგილებზე მობილიზებულ პოლიციის ოფიცრებთან კოორდინირებულ მუშაობას.

აღნიშნულ საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ცენტრში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან წარდგენილნი იქნებიან სამინისტროს ადმინისტრაციის სპორტული და კულტურული ღონისძიებების უსაფრთხოების სამმართველოს ორი თანამშრომელი, ხოლო მობილურ ჯგუფად, სტადიონებსა და გულშემატკივართა შეკრების ადგილებში სამუშაოდ სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ორ-ორი წარმომადგენელი.

აღნიშნული თანამშრომლები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრებიან 2024 წლის 9 ივნისს.

სამინისტროს დელეგაცია გერმანიის რესპუბლიკაში დარჩება და განახორციელებს საქმიანობას საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების UEFA-ს 2024 წლის ევროპის ფეხბურთის ჩემპიონატზე ასპარეზობის პერიოდში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორი ადამიანის განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ი.კ. ორი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, ყოფით თემაზე არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, მეზობლად მცხოვრებ 1985 წელს დაბადებულ ბ.ბ.-ს და მის მეგობარს, 1984 წელს დაბადებულ ნ.ა.-ს სანადირო თოფიდან რამდენიმე გასროლით ჭრილობები მიაყენა. მიყენებული დაზიანებების შედეგად, ორივე მათგანი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ი.კ. ცხელ კვალზე დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ორი პირის განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

მძიმედ დაშავებული მამაკაცი მეხანძრე-მაშველებმა ვერტმფრენით თბილისში გადმოიყვანეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველებმა, კახეთის რეგიონიდან, მძიმედ დაშავებული მამაკაცი ვერტმფრენით თბილისში გადმოიყვანეს.

ლაგოდეხის ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცხენებით სეირნობის დროს, მოქალაქეს ცხენმა თავის არეში მძიმე დაზიანება მიაყენა, რის შედეგადაც იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში. უგზოობის გამო, თანმხლები პირები ვერ ახერხებდნენ მის გამოყვანას.

მოქალაქის სამედიცინო პუნქტში გადაყვანის მიზნით, სამაშველო ოპერაციაში დაუყოვნებლივ ჩაერთო შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი. მეხანძრე-მაშველების მიერ უმოკლეს დროში მოხდა მოქალაქისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და შემდგომ მისი თბილისში, ვერტმფრენით გადმოყვანა.

ამ დროისთვის მოქალაქე გადაყვანილია სამედიცინო დაწესებულებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, ესეების კონკურსი გამოცხადდა

ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, ცხადდება ესეების კონკურსი სკოლის მოსწავლეებისათვის, რომელიც მიმდინარე წლის 26 ივნისამდე გაგრძელდება.

კონკურსში მონაწილეობის წესები:

ესეს შინაარსი უნდა ეხებოდეს ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებულ თემატიკას;

ესეს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 200-300 სიტყვას;

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს (ასაკი 10-18 წლამდე);

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გამოაგზავნონ შემდეგი ინფორმაცია – ავტორის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, სკოლის დასახელება და ტელეფონის ნომერი;

თემასთან და მითითებულ პირობებთან არსებითად შეუსაბამო, უცენზურო, დისკრიმინაციული, ძალადობის შემცველი საკონკურსო ნამუშევრები, ასევე, ნამუშევრები, რომლებიც არ შეესაბამება ზოგად მორალურ და ეთიკურ პრინციპებს, არ მიიღება;

თითოეულ კონკურსანტს უფლება აქვს, წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ესე;

მონაწილემ უნდა წარმოადგინოს საკუთარი ესე, ინტერნეტში მოძიებული ესე კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს;

წარმოდგენილ ესეზე საავტორო უფლებები უნდა ეკუთვნოდეს კონკურსანტს. სამინისტრო არ არის პასუხისმგებელი მესამე პირების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა, წამოაყენონ რაიმე სახის (ქონებრივ, არაქონებრივ, საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული) პრეტენზია გამოქვეყნებულ ესესთან დაკავშირებით;

კონკურსანტი, კონკურსში მონაწილეობის მიღებით, გამოხატავს თანხმობას, მონაწილეობა მიიღოს ამ პროექტთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებასა და კამპანიაში;

კონკურსანტი, კონკურსში მონაწილეობის მიღებით, გამოხატავს თანხმობას და სამინისტროს გადასცემს უფლებას, მის მიერ გადმოგზავნილი ესე შემდგომში გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ;

გაცნობებთ, რომ საკონკურსო ნამუშევრის გამოგზავნით, კონკურსანტი ავტომატურად ეთანხმება კონკურსის პირობებს;

ესეების გამოგზავნა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად, შემდეგი ფოსტის მისამართზე: adamianisuflebebi@mia.gov.ge სათაურის ველში მიუთითეთ „ესეების კონკურსი სკოლის მოსწავლეებისათვის“. საკონკურსო ნამუშევრების გამოგზავნა შესაძლებელია 26 ივნისის ჩათვლით.

დაგვიანებით ან/და არასრული მონაცემებით წარმოდგენილი ნაშრომები არ განიხილება.

კონკურსის ვადის დასრულების შემდგომ, ჟიურის წევრები გამოავლენენ სამ საუკეთესო ნამუშევარს, რომლებსაც გადაეცემათ ჯილდო.

კამპანიას – „ნუ წაართმევ ბავშვობას“, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უკვე მეხუთე წელია ატარებს და მის უმთავრეს მიზნებს ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული დანაშაულების პრევენცია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ამ კატეგორიის დანაშაულების შესახებ სამართალდამცველებისთვის დროული შეტყობინების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

მამარდაშვილი და „ნიუკასლი“ გამოირიცხა?

ესპანური მედია წერს, გიორგი მამარდაშვილი „ვალენსიადან“ სანაკრებო შეკრებაზე ისე წავიდა, რომ თითოეულ თანაგუნდელს გულთბილად დაემშვიდობა. შესაბამისად, პრესა ვარაუდობს, რომ მამარდა ესპანურ კლუბში აღარ დაბრუნდება და კარიერას სხვაგან გააგრძელებს. მით უმეტეს, მის მიმართ ინტერესს არაერთი კლუბი იჩენს. ყველაზე მეტად, ქართველი კიპერის შეძენა „ნიუკასლს“ სურდა და ესპანელებს გიოს სანაცვლოდ 41 მილიონი ევროც შესთავაზა, თუმცა, როგორც პირენეული მედია წერს, „ვალენსია“ ყველაზე ცოტა, 45 მილიონის მიღებას აპირებს.

ჰოდა, ახლა ამბობენ, რომ „ნიუკასლი“ „ბარნლის“ მეკარეზე, ჯეიმს ტრაფორდზე გადაერთო და მისი შეძენა ორჯერ უფრო იაფი დაუჯდება. რაც შეეხება მამარდაშვილს, მისი ხილვა გუნდში „ატლეტიკოს“ თავკაცს, დიეგო სიმეონესაც სურს და ამას გარდა, მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალიც“ ყურადღებით აკვირდებიან. არც ისაა გამორიცხული, მამარდაშვილი ესპანეთის პრიმერაში, აწ უკვე დასრულებული სეზონის საუკეთესო მეკარედ დაასახელონ და ეს მის ტრანსფერს კიდევ უფრო დააჩქარებს. თანაც, წინ წვროპის ჩემპიონატია და კლუბები ქართველ მეკარეს იქაც გამადიდებელი შუშით დააკვირდებიან.

რა ელირება კვარაცხელია ევროპის ჩემპიონატის შემდეგ – დე ლაურენტისი ცდუნებას ვეღარ უძლებს

იტალიური „ნაპოლის“ პრეზიდენტმა, აურელიო დე ლაურენტისმა გულშემატკივრებს ახალი მთავარი მწვრთნელი წარუდგინა. ანტონიო კონტე ნეაპოლურ კლუბს მომდევნო სამი წლის განმავლობაში გაწვრთნის. როგორც იტალიური მედია წერს, ის გუნდში მისვლას მას შემდეგ დათანხმდა, რაც პრეზიდენტისგან გარანტია მიიღო, რომ ორ ფეხბურთელს – კაპირტან ჯოვანი დი ლორენცოსა და ხვიჩა კვარაცხელიას არ გაყიდდა, მაგრამ...

მას შემდეგ, რაც „პარი სენ ჟერმენი“ კილიან მბაპემ დატოვა, ფრანგული კლუბის „ბოსები“ მის შემცვლელს ეძებენ და მიაგნეს კიდეც. მათ სწორედ კვარაცხელიას შეძენა სურთ და თუ ერთი კვირის წინ, ქართველის სანაცვლოდ 100 მილიონს იხდიდნენ, ახლა მზად არიან, 130 მილიონს ჩამოვიდნენ. თავის მხრივ, იტალიურ მედიას არ სჯერა, რომ სულით ბიზნესმენი დე ლაურენტისი ასეთ ცდუნებას გაუძლებს. მით უმეტეს, მას უკვე რამდენჯერმე შეხვდა ფეხბურთელის აგენტი, მამუკა ჯუღელი და გასაგებად აუხსნა, რომ ძველი პირობებით, კვარა „ნაპოლიში“ აღარ ითამაშებს და ხელფასის გაზრდის გარდა, მისთვის შესაბამისი ბონუსებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. პრეზიდენტი მზად არის, ქართველის წლიური ჯამაგირი – 1.2 მილიონი ევრო, 5 მილიონამდე გაზარდოს, მაგრამ „პარი სენ ჟერმენი“ მზადაა, ჩვენებურს წლიურად 7 მილიონი გადაუხადოს, რის გაკეთებასაც დე ლაურენტისი ცოცხალი თავით არ აპირებს. ამასთან ერთად, მას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და მაშინ, როცა იმედი ჰქონდა, რომ ზაფხულში კვარაცხელიას კი არა, ვიქტორ ოსიმენს გაყიდდა, აღარაფერი გამოსდის. ნიგერიელის შეძენა არავის სურს, სავარაუდოდ, ის ისევ „ნაპოლიში“ დარჩება და პრობლემად იქცევა – ახალ მწვრთნელს მისი თამაში არ მოსწონს და გუნდიდან გაშვება უნდა, მაგრამ როგორ გაუშვებს, როცა მყიდველი არ ჩანს.

როგორც ევროპელები წერენ, მხარეები ახლა კარს მომდგარ ევროპის ჩემპიონატს ელოდებიან და რამდენად გაიყიდება კვარა, იმის მიხედვით გადაწყდება, თუ როგორ წარმოაჩენს ის თავს კონტინენტის პირველობაზე. ყოველ შემთხვევაში, დე ლაურენტისმა უკვე იცის, რომ ქართველი შემტევი 130 მილიონზე ნაკლებად არ უნდა გაასხვისოს.

მიქაუტაძე ტრანსფერზე – ვინ გადაიხდის 20 მილიონს?

სამწუხაროდ, გიორგი მიქაუტაძის „მეცმა“ საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში თამაშის შესაძლებლობა დაკარგა, რადგან პლეი-ოფში „სენტ ეტიენთან“ დამარცხდა. ქვედა ლიგაში ასპარეზობა კი გუნდის მთავარ დამრტყმელ ძალას, მიქაუტაძეს აღარ სურს და ეს კლუბშიც კარგად იციან. ზედ საპლეიოფო მატჩების წინ, „მეცმა“ მოახერხა და ქართველი ფორვარდი „აიაქსიდან“ 13 მილიონ ევროდ გამოისყიდა, ახლა კი, მისი გასხვისება 20 მილიონად სურს. როგორც ანალიტიკოსები წერენ, „მეცს“ „აიაქსისთვის“ თანხა ჯერ გადახდილი არ აქვს და თუ გიოს არ გაყიდის, ვერც გადაიხდის. ამიტომ, მიქაუტაძე გუნდს აუცილებლად დატოვებს, მაგრამ...

„20 მილიონი ის თანხაა, რომელსაც ერთბაშად ხუთი ფრანგული კლუბი იხდის. მიქაუტაძის ხილვა საკუთარ რიგებში „მონაკოს“, „ლიონს“, „ლანსს“, „მარსელსა“ და „რენს“ სურთ, თუმცა „მეცი“ მოცდას ამჯობინებს, რადგან წინ ევროპის ჩემპიონატია და თუ ჟორჟი იქ გაიბრწყინებს, მისი ფასი 20 მილიონზებევრად მეტი იქნება“, – წერს ფრანგული მედია.

პერესი: „ჩემს ფეხბურთელებს მოკვლას უპირებენ“

მადრიდის „რეალმა“ ჩემპიონთა ლიგის თასი ისტორიაში მეთხუთმეტედ მოიგო და მსოფლიოს საუკეთესო კლუბის სტატუსს, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში, ვერავინ შეეცილება. ამის მიუხედავად, კლუბის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი ამბობს, რომ მომავალი სეზონის კალენდარი არანორმალურია და მისი გუნდის ფეხბურთელები უბრალოდ დაიხოცებიან, ამ ტემპსა და რეჟიმს ვერ გაუძლებენ.

„ახალ სეზონს, 14 აგვისტოს, ევროპის სუპერთასით ვიწყებთ და თუ ყველა ტურნირში წარმატებას მივაღწევთ, რაც წარმოუდგენელი სულაც არ არის, სეზონს მომავალი წლის 13 ივლისს, ანუ ზუტად 11 თვეში დავასრულებთ. ფეხბურთელებს დასვენების შესაძლებლობა უბრალოდ არ ექნებათ, რადგან ახალი სეზონისთვის მზადება ერთი თვით ადრე უნდა დაიწყონ ანუ ბაზიდან ვერ გავლენ. შეგრძნება მაქვს, რომ ჩემს ფეხბურთელებს მოკვლას უპირებენ. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფორმატი შეიცვალა და უამრავი მატჩი დაგვემატა. ვფიქრობ, ამ ტურნირში მსოფლიოს საუკეთესო გუნდი ანუ ჩვენ, მონაწილეობას არ მიიღებს და ეს იმის მიუხედავად, რომ მხოლოდ მონაწილეობისთვის 50 მილიონს მოგვცემენ, წარმატების შემთხვევაში, რაც ასევე რეალურია, დამატებით – 100 მილიონს. ამ ციფრების მიუხედავად, მე არ ვაპირებ, ჩემი ფეხბურთელების ჯანმრთელობით გავრისკო“, – ამბობს პერესი.

ვინ რამდენს იღებს ევროპის ჩემპიონატზე

ციფრები ყოველთვის საინტერესოა და რა თქმა უნდა, ურიგო არ იქნება, ვიცოდეთ, ვის რა ჯამაგირი აქვს, ნაკრებში მუშაობისთვის. ზოგადად, ეროვნული გუნდების მწვრთნელებს ბევრად ნაკლებს უხდიან, ვიდრე კლუბებში მომუშავეებს, მაგალითად, კარლო ანჩელოტი „რეალში“, წლიურად, 20 მილიონამდე იღებს, თითქმის ამდენივეს უხდიდნენ „ლივერპულში“ იურგენ კლოპს. ჰოდა, საინტერესოა, ევროპის ჩემპიონატზე გასული ნაკრებების თავკაცებიდან, ვის რამდენი აქვს წლიურად და რაც მთავარია, მერამდენე ადგილზეა ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცი, ვილი სანიოლი?! მაშ ასე:

1. გარეტ საუთგეიტი (ინგლისი) – 5.8 მილიონი ევრო, წელიწადში;
2. იულიან ნაგელსმანი (გერმანია) – 4.8 მილიონი ევრო;
3. რობერტო მარტინესი (პორტუგალია) – 4 მილიონი ევრო;
4. დიდიე დეშამი (საფრანგეთი) – 3.8 მილიონი ევრო;
5. რონალდ კუმანი (ნიდერლანდები) – 3 მილიონი ევრო;
6. ლუჩანო სპალეტი (იტალია) – 3 მილიონი ევრო;
7. ვინჩენცო მონტელა (თურქეთი) – 1.8 მილიონი ევრო;
8. მურატ იაკინი (შვეიცარია) – 1.6 მილიონი ევრო;
9. რალფ რანგნიკი (ავსტრია) – 1.5 მილიონი ევრო
10. დომენიკო ტედესკო (ბელგია) – 1.5 მილიონი ევრო;
11. ზლატკო დალიჩი (ხორვატია) – 1.5 მილიონი ევრო
12. დრაგან სტოიკოვიჩი (სერბეთი) – 1.4 მილიონი ევრო;
13. ლუის დე ლა ფუენტე (ესპანეთი) – 1.25 მილიონი ევრო;
14. სერგეი რებროვი (უკრაინა) – 1.25 მილიონი ევრო;
15. კასპერ ჰულმანდი (დანია) – 1.15 მილიონი ევრო
16. სილვინიო (ალბანეთი) – 750 ათასი ევრო;
17. მიხალ პრობიერჟი (პოლონეთი) – 560 ათასი ევრო;
18. სტივ კლარგი (შოტლანდია) – 550 ათასი ევრო;
19. ფრანჩესკო კალცონა (სლოვაკეთი) – 540 ათასი ევრო;
20. მარკო როსი (უნგრეთი) – 300 ათასი ევრო;
21. მატიაჟ კეკი (სლოვენია) – 300 ათასი ევრო;
22. ივან ჰაშეკი (ჩეხეთი) – 250 ათასი ევრო;
23. ედვარდ იორდანესკუ (რუმინეთი) – 240 ათასი ევრო;
24. ვილი სანიოლი (საქართველო) – 200 ათასი ევრო.

რა მოხდა 2013-2014 წლებში, კიევის მაიდანზე

მე-5 გვერდიდან



არსებულ პიროვნებას, ვადიმ ტიტუშკოს უკავშირდება), რომლებიც წვავდნენ ავტომანქანებს და იტაცებდნენ აქტივისტებს, მაგრამ თავის მხრივ, ევრომაიდნები მთელი ქვეყნის მასშტაბით იკრებდნენ ძალებს, შეიქმნა ავტომაიდნებიც, ხოლო ყოველ კვირას, მაიდანზე სახალხო „ვეჩე“, იგივე, სახალხო კრება იმართებოდა.

1-დან 8 დეკემბრამდე, კიევის ქუჩებში გასული იყო 500-დან 800 ათასამდე მოქალაქე. ევროპის მოედანი აუღებელ ციხესიმაგრეს დაემსგავსა: თავადაცვითი რაზმების წევრები ეზიდებოდნენ ქვიშით სავსე ტომრებსა და საბურავებს, აგებდნენ ბარიერებს. დროდადრო, ხალხის დაშლას ცდილობდა „ბერკუტი“ – მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი, მაგრამ რაც მეტად იყენებდნენ ისინი ძალას მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ, მით უფრო მეტი მოქალაქე გადიოდა ქუჩაში.

1-ელ დეკემბერს, აქციის მონაწილეებმა დაიკავეს პროფკავშირების შენობა, უკრაინის სახლი. 8 დეკემბერს, კიევში, ლენინის ძეგლის დემონტაჟი განხორციელდა, რასაც სხვა ქალაქებშიც იგივე პროცესი მოჰყვა – უკრაინაში „ლენინცვენა“ დაიწყო.

სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთნენ მაიდნის სახეები: სერგეი ნიგოიანი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ევრომაიდანზე დაიღუპა. იქ იყვნენ ვოლონტერები, მედიკოსები – სპეციალური ჩაცმულობით, თავდაცვითი რაზმების წევრები, ანდრეი პარუბი – თავდაცვის მეთაური, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა წინააღმდეგობის გაწევაში, ასევე რუსლანა ლიჟიჩკო, რომელიც გადამწყვეტ მომენტებში ადიოდა სცენაზე და მღეროდა უკრაინის ჰიმნს, მიხეილ გავრილიუკი, რომელიც ღირსეულად იტანდა ძალოვანთა მხრიდან საჯარო დამცირებას გრუშევსკის ქუჩაზე და ჟურნალისტები, რომლებსაც სცემდნენ ბერკუტელები და ე.წ. ტიტუშკები, მაგრამ ისინი ისევ აგრძელებდნენ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებას.

1-ელ დეკემბერს, ძალოვნები ევვრომაიდნიდან განდევნეს. 4 დეკემბერს, აქციაზე გასულთა ნაწილი პრეზიდენტის ადმინისტრაციისკენ, ბანკოვაიას ქუჩისკენ დაიძრა, სადაც ახალი შეტაკება მოხდა სპეცრაზმთან. სასტიკად სცემეს ჟურნალისტები და აქციის მონაწილეები. ძალოვნებმა ბარიკადების აღმართვა დაიწყეს სამთავრობო კვარტალში, რათა ევრომაიდნის გაფართოება შეეჩერებინათ, მაგრამ ამაოდ.

8 დეკემბერს, ევრომაიდანზე მორიგი „ვეჩე“ გაიმართა, სადაც 800 000-მდე ადამიანი იყო შეკრებილი.

* * *

ხელისუფლებამ თავისი მომხრეები დარაზმა მთელი ქვეყნიდან და სახელისუფლო მიტინგის ჩატარება სცადა. ამ გზით, მან 200 000-მდე ადამიანს მოუყარა თავი. საღამოს ევროპის მოედანი უკვე დაცარიელდა – ხელისუფლების მომხრეებს არ ჰქონდათ მოტივაცია, ადგილზე დარჩენილიყვნენ. გაჩნდა ავტომაიდნები, ხელისუფლების ფსონი იმაზე, რომ ხალხს შესცივდებოდა

და დაიშლებოდა, არ აღმოჩნდა სწორად გათვლილი – ავტომაიდნის მონაწილეები ბლოკირებას უკეთებდნენ ძალოვანთა ავტობუსებს. ევრომაიდნის ლიდერები დადიოდნენ შეხვედრებზე, მრგვალი მაგიდის ფორმატში, მაგრამ უშედეგოდ.

17 დეკემბერს, კრემლში, იანუკოვიჩი და პუტინი საიდუმლო მოლაპარაკებას მართავენ. კრემლი იანუკოვიჩს პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებს, ამავდროულად, გაზს უაიაფებს და სამმილიარდიან კრედიტსაც აძლევს, მაგრამ მაიდანზე უკვე სასწრაფოდ ითხოვენ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს, არავის სურს კიდევ ორი წელი აიტანოს იანუკოვიჩის მმართველობა. ავტომაიდანი მეჟიგორიეში, პრეზიდენტ იანუკოვიჩის რეზიდენციასთან მიდის და სამასი მეტრის დაშორებით ჩერდება.

მაიდნის თავდაცვა „ბერკუტელებს“ ალყაში აქცევს და აიძულებს, მოიხსნან ნიღბები. ნაწილი ემორჩილება ხალხის მოთხოვნას და სირცხვილის დერეფანს გადის. ამ დროისთვის უკვე მოკლულია გატაცებული აქტივისტი იური ვერბიცკი, ანდრეი ლუცენკო ძლივს გადაურჩა სიკვდილს. სასტიკადაა ნაცემი ტატიანა ჩერნოვოლი. სხვადასხვა ქალაქში, ჯამში, ოცამდე აქტივისტია დაზიანებული.

11 იანვარს მორიგი შეტაკება მოხდა.

16 იანვარს, „რადაში“ შეკრებილმა, აგრესიულად მორჩილმა დეპუტატებმა ხელის აწევით, ხმების დათვლის გარეშე, მიიღეს რამდენიმე კანონი, რაც ძალოვნებს მაიდნის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა, ხოლო აქტივისტების წინააღმდეგ, ფაქტობრივად, რეპრესიებს აკანონებდა.

ასევე, დასჯადი გახდა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებზე ინფორმაციის შეგროვება. მიღებული კანონები საზოგადოებამ აღიქვა, როგორც დიქტატურის გამოვლინება, ამიტომ 19 იანვარს, გრუშევსკაიაზე, მაიდანმა შეტევა დაიწყო. ამ შეტევამ ცხადი გახადა, რომ იანუკოვიჩის ხელისუფლება უსისხლოდ წასვლას არ აპირებდა.

22 იანვარს, სამი ევრომაიდნელი მოკლეს. ამის შემდეგ მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა: აშშ-მა სანქციები დაუწესა კიევს, ევრომაიდნელებმა აიღეს ენერგეტიკის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს შენობები, თუმცა მალევე გაათავისუფლეს, რადგან ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით იმუქრებოდა.

იანვრის ბოლოს, პრემიერი აზაროვი გადადგა, „რადამ“ დიქტატორული კანონები გააუქმა და ამნისტია გამოაცხადა.

შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ შესაძლებელი იყო საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტა, მაგრამ 2004 წლის კონსტიტუციის აღდგენის მოთხოვნა სასაკლაოში გადაიზარდა.

19 თებერვალი მაიდნის თავდაცვითი რაზმებისთვის ყველაზე ძნელი აღმოჩნდა: ძალოვნები სცენიდან 300 მეტრში შეაჩერეს. დაღუპულთა რიცხვი 26-მდე გაიზარდა, მათგან 10 ძალოვანი იყო.

მოგვიანებით, იანუკოვიჩმა ძალოვნებს საბრძოლო ვაზნები და ცეცხლსასროლი იარაღი დაურიგა. თავდაცვის მინისტრმა, დნეპროპეტროვსკიდან სადესანტო-მოიერიშე რაზმების კიევში გადასროლა სცადა, ოპოზიციის წევრების წინააღმდეგ კი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა – ხელისუფლების მიტაცების მცდელობის ბრალდებით. შეტაკებები სისხლიან ტრაგედიაში გადაიზარდა, მსხვერპლთა რიცხვმა 75-ს მიაღწია.

ოპოზიციის ლიდერებმა იანუკოვიჩთან, ევროკავშირის წარმომადგენელთა შუამდგომლობით, მიაღწიეს შეთანხმებას 2014 წელს, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის, 2004 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ, თუმცა ევრომაიდანს ეს პირობები უკვე არ აკმაყოფილებდა.

იმის მიუხედევად, რომ შს მინისტრი ზახარჩენკო გადააყენეს, 100 000-მდე ადამიანმა, რომლებიც დაღუპულებს იქვე გამოეთხოვნენ, პარასიუკის მეშვეობით, ულტიმატუმი წამოაყენა: იანუკოვიჩის უპირობო გადადგომა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამთავრობო კვარტალზე შტურმი.

იანუკოვიჩი ხარკოვში გარბის და იქ სეპარატისტთა მობილიზებას ცდილობს, მაგრამ კიევში, ხელისუფლება უკვე ოპოზიციის ხელშია. იანუკოვიჩი გარბის ჯერ ყირიმის ნახევარკუნძულზე, შემდეგ კი რუსეთში. პარლამენტი ირჩევს ახალ სპიკერს და თანამდებობიდან უშვებს გენპროკურორს.

სახელმწიფო უშიშროების სამსახურის, შსს-სა და თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა აცხადებს, რომ ხალხის ერთგული დარჩება და მასთან ერთად დადგება.

იანუკოვიჩი თვალთახედვიდან ქრება.

თებერვლის შუა რიცხვებში, უკრაინაში ახალი მთავრობა ფორმირდება.

სუნამო დამწვარი საბურავის არომატით

იაპონურმა საავტომობილო ბრენდმა – Nissan, შექმნა სუნამო, რომელსაც ავტომობილის დამწვარი საბურავის სურნელი აქვს. კომპანიის ახალი არომატის შემადგენლობა გასაიდუმლოებულია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ერთ-ერთი ინგრედიენტი საბურავების მტვერია. სუნამოს ასევე აქვს დამწვარი რეზინის, ალუბლის ყვავილების, როზმარინისა და დამწვარი შაქრის ნოტებიც. სუნამოს Smell My Dust უწოდეს, რაც ნიშნავს – „შეისუნთქე ჩემი მტვერი“. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი პარფიუმი ამ საავტომობილო ფირმისგან. ამავე ბრენდით გამოდის არომატები, რომელთაც სახელები მანქანების მოდელების მიხედვით უწოდეს: Armada, GT-R, Patrol და 350Z.

მცენარეები გაფუჭებული ტექნიკის ნაცვლად

პოლონეთის დედაქალაქში ინიციატივა აამოქმედეს – მწყობრიდან გამოსულ ელექტროტექნიკას ნერგებზე ცვლიან. ძველი მიქსერის ან მტვერსასრუტის ნაცვლად, მსურველს შეუძლია მიიღოს მოცვის, მელისას, ფუქსიას, ბაზილიკის, ორეგანოს, ფიკუსისა და სხვა ნერგები. წვრილ ტექნიკას, მაგალითად, მიქსერს, აქციის ორგანიზატორები მხოლოდ ერთ მცენარეში ცვლიან. იგივეს მიიღებს 20 ცალი ძველი ბატარეის ჩამბარებელიც. უფრო მსხვილი ტექნიკის ნაცვლად, როგორებიცაა ტელევიზორი ან კომპიუტერი, ორ ნერგს გასცემენ. მაცივრის ან სარეცხი მანქანის ჩამბარებელს კი სამ სხვადასხვა ნერგს აჩუქებენ. აქციის პირველმა ნაწილმა წარმატებით ჩაიარა და 1000 კილოგრამზე მეტი ელექტრონაგვისა და 400-ზე მეტი ბატარეის შეგროვება მოხერხდა.

იშვიათ ბრილიანტს აუქციონზე გაყიდიან

აუქციონის სახლი Christie's გასაყიდად იშვიათ, ვარდისფერ ბრილიანტს გამოიტანს. მისი წონა 10 კარატზე მეტია. წინასწარი შეგფასებით, ძვირფასი ქვის ღირებულება 9-დან 12 მილიონ დოლარამდეა. კლასიკური წახნაგების მქონე ბრილიანტს, მისი ისუფთავის გამო, „სამოთხის ვარდი“ უწოდეს – ის ყოველგვარი მინარევების გარეშეა. აუქციონზე გაყიდიან, ასევე, საფირონით შემკული საათების ლიმიტირებულ ხაზს, უნიკალური მექანიზმით. მსოფლიოში ასეთი საათი სულ ათი ეგზემპლარია. აუქციონის ორგანიზატორები ამ ლოტს 5 მილიონ დოლარად აფასებენ.

მოხუცებულთა სახლში ახალგაზრდები სახლდებიან

ჩინეთში ახალგაზრდები, რომელთა ასაკი 20-30 წელია, აქტიურად სახლდებიან მოხუცებულთა თავშესაფრებში. ისინი ცდილობენ, იქ იპოვონ სიმშვიდე და სამუშაოსგანაც დაისვენონ, – წერს ადგილობრივი გამოცემა South China Morning Post. მედიის ცნობით, ამჟამად ხანდაზმულთა სახლების მცხოვრებთა უმრავლესობა ახალგაზრდები არიან. ისინი, რასაკვირველია, იქ სამუდამოდ დარჩენას არ აპირებენ, მაგრამ სურთ, სამსახურსა და კარიერაში ერთგვარი შესვენება მოიწყონ. მოხუცებულთა სახლებში დილა იწყება ბარში ყავით, შემდეგ მოდის მედიტაციის სეანსი მთაზე. სადილის შემდეგ სახლის მცხოვრებლები სოფლის მეურნეობის საქმეებით არიან დაკავებულნი, მიდიან მდინარეზე სათევზაოდ და ვახშამსაც თავად ამზადებენ. საღამოობით ერთად იკრიბებიან კოცონის გარშემო, სასმელით, თამაშობენ, საუბრობენ და „კარაოკეთი“ ერთობიან. ხანდაზმულებისთვის განკუთვნილი ტრადიციული სერვისებისგან განსხვავებით, ეს განმარტოებები უფრო კომუნალური ოჯახების ცხოვრებას ჰგავს, სადაც ადამიანები საერთო კეთილდღეობისთვის იღწვიან. ერთ-ერთი ასეთი სახლი, სადაც 12 საძინებელია, მაცხოვრებლებისგან თვეში ქირას 200 დოლარს იღებს. ზოგიერთი თავშესაფარი ქირას არ ახდევინებს, მაგრამ მსურველებისგან საწევროს შეტანას მოითხოვს სახლის განვითარებისა და შენახვისთვის. თავშესაფრებში მცხოვრები პაციენტებისთვის კი გადასახადი საშუალოდ 700 დოლარს შეადგენს. ამის მიუხედავად, სულ უფრო მეტი ადამიანი ერთვება ამ ერთგვარ კამპანიაში, რომელსაც „ცეცხლი“ ეწოდება და „პენსიაზე გასვლას“ 30-40 წლის ასაკში გეგმავს.

ფეკალიების მუზეუმი გახსნა

ამერიკელმა ჯორჯ ფრანდსენმა, რომელიც გინესის წიგნის რეკორდსმენია, გაქვავებული ფეკალიების კოლექციით, არიზონაში მუზეუმი გახსნა, სადაც საკუთარი კოლექცია წარადგინა. მუზეუმს Poozeum უწოდა, სადაც ბინა დაიდო ათასობით გაქვავებულმა ექსკრემენტმა, მათ შორის, ყველაზე დიდი ნიმუში, რაც კი ჯორჯს უპოვია, 67-სანტიმეტრიანი კოპროლიტია, რომელიც მტაცებელ ცხოველს ეკუთვნის. ფრანდსენმა საკუთარი მუზეუმის გახსნა იმის გამო გადაწყვიტა, რომ სხვა მსგავს დაწესებულებებში არსად აქვთ წარმოდგენილი გაქვავებული ფეკალიები. ამის გამო, მან მიატოვა სამედიცინო კომპანია, სადაც მუშაობდა და სრულყოფილი მუზეუმი გახსნა. ექსკრემენტების მისი კოლექცია 8 ათასამდე ეგზემპლარს ითვლის, მათ შორის, დინოზავრების ფეკალიებსაც. შეგროვება კი ჯორჯმა ბავშვობიდან დაიწყო, როცა ქვების მაღაზიაში კოპროლიტები ნახა და მისით დაინტერესდა.

მზის პანელებს სასაფლაოებზე დგამენ

ესპანეთში, ვალენსიაში, პროექტ RIP-ის (Requiem in Power) ფარგლებში, ქალაქის სასაფლაოებზე 6.6 ათას მზის პანელს განათავსებენ. ისინი წელიწადში 440 ათას კილოვატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. ქალაქის მესვეურებს ეს საშუალებას მისცემს, ნახშირორჟანგის ყოველწლიური გამონაბოლქვი 150 ათასი ტონით შეამცირონ და ელექტროენერგიით მოამარაგონ მუნიციპალური შენობები და ათასობით კერძო სახლიც. 800-ზე მეტი პანელი უკვე განათავსეს ვალენსიას სამ სასაფლაოზე. ქალაქის მთავრობა იმედოვნებს, რომ განიმტკიცებს ევროპის მწვანე დედაქალაქის სტატუსს. მათი გეგმებით, უახლოეს წლებში, ენერგიის 27%-ს განახლებადი წყაროებიდან მიიღებენ.

ლედი გაგამ „მერსედესის“ ბამპერი ჩაიცვა

ლედი გაგამ, თავისი ფილმ-კონცერტის – Chromatica Ball-ის პრემიერის წინ, თაყვანისმცემლებისთვის ლოს-ანჯელესში ჩვენება გამართა. ის პრეზენტაციაზე, როგორც სჩვევია, უჩვეულო ჩაცმულობით მივიდა – მის კოსტიუმს მოსასხამი აგვირგვინებდა, რომელსაც ავტომობილის ბამპერის ფორმა ჰქონდა, თავად მომღერალი კი რობოტ-ტრანსფორმერს ჰგავდა. ლედი გაგამ აირჩია კაბა, რომელიც 2014-16 წლების Mercedes-Bens E-Class-ის გადაკეთებული ბამპერისგან იყო შექმნილი. მანქანის ნაწილი ისე იყო შეცვლილი, რომ მას ხელების გასაყოფად დამატებითი ჭრილები ჰქონდა. თავად პოპ-დივამ გაიხუმრა, წარმოდგენა არ მაქვს, საიდან არის ეს დეტალიო. თუმცა, ჭეშმარიტი ავტოექსპერტები უმალ მიხვდნენ მის წარმომავლობას.

ჯორდანის ბარათი 3 მილიონად გაიყიდა



ამერიკელი კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი სპორტული კარიერის დასრულების შემდეგაც რეკორდებს ამყარებს. იშვიათი ბარათი ამ ლეგენდარული მოთამაშის გამოსახულებით, რომელიც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში (NBA), „ჩიკაგო ბულზის“ შემადგენლობაში თამაშობდა, აუქციონზე 2.9 მილიონ დოლარად გაიყიდა. მყიდველმა მასში 2.2 მილიონი დოლარი და 22% საკომისიო გადაიხადა. ლოტის განსაკუთრებულობა იმან განაპირობა, რომ ბარათი ერთადერთი ეგზემპლარია, შეიცავს კალათბურთელის ფორმის ნიმუშებს და მისი ავტოგრაფიც ამშვენებს. 61 წლის მაიკლ ჯორდანი NBA-ს ექვსგზისა და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია. სპორტული კარიერა მან 2003 წელს დაასრულა.

ახალი ტიპის უნიტაზი შექმნეს

სტარტაპმა – Sanitronics, ნიდერლანდებიდან, მოდულარული ტუალეტი შექმნა თვითწმენდის ფუნქციით. ტუალეტი აღჭურვილია ტრიალის სისტემით. მასში ორი უნიტაზი გამოიყენება, რომელიც ერთმანეთს ენაცვლება. ვიდრე ერთი უნიტაზი იწმინდება, მომხმარებელი მეორით სარგებლობს. როგორც შიგნით, ისე ზევიდან და ქვევიდან, ტუალეტი მაღალი წნევით იწმინდება. ტრიალისას, გაწმენდილი უნიტაზი ჰაერის ძლიერ ნაკადში ხვდება და შრება. შედეგად, მომხმარებელი სრულიად სუფთა და მშრალ უნიტაზს იღებს. აღსანიშნავია, რომ მთელი ეს პროცესი ძალიან ხანმოკლეა – 20 წამიც კი არ გრძელდება.

შოკოლადს ახალი მეთოდით მიიღებენ

მაღაზიების თაროებზე მალე უფრო ჯანსაღი და ეკოლოგიური შოკოლადის გამოჩენას უნდა ველოდოთ, რადგან შვეიცარიელი სწავლულები და შოკოლადის მწარმოებლები ამ „ღმერთების საკვების“ ახალ რეცეპტს ამუშავებენ. მასში შაქარი მცენარეული ნარჩენებითაა შეცვლილი. კაკაოს შიგთავსი და ქერქი ერთად ნაწევრდება, ნაცვლად მხოლოდ კაკაოს მარცვლებისა. ამ გზით, სპეციალისტებმა ტკბილი და ბოჭკოვანი გელი მიიღეს, რომელიც შეცვლის შაქარს შოკოლადში. სწავლულების თქმით, ასე პროდუქტი უფრო ნოყიერი გამოდის, ვიდრე ჩვეულებრივი შოკოლადი და მის დასამზადებლადაც ნაკლები წყალი და სხვა რესურსები გამოიყენება. თუმცა, პრდუქტი სავსებით აკმაყოფილებს ტკბილეულის მოყვარეულების მოთხოვნებს. „კაკაოს ნაყოფი, თავისი არსით, გოგრაა, ჩვენ კი ახლა მხოლოდ მის თესლს ვიყნებთ“, – აცხადებენ მკვლევარები.

კარდიოსტიმულატორს ამოღება აღარ დასჭირდება



ამერიკელმა სწავლულებმა, ჯორჯ ვაშინგტონისა და ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტებიდან, გასულ წელს, მსოფლიოში პირველი კარდიოსტიმულატორი წარადგინეს, რომელიც ორგანიზმში გაიწოვება. წელს ის დახვეწეს და უსადენო გადამცემებსა და მართვის ბლოკს დაუკავშირეს. მოწყობილობა სულ 0.25 მილიმეტრი სისქისაა და ნახევარ გრამზე ნაკლებს იწონის. ის ბატარეის გარეშე მუშაობს. ენერგია გარე ანტენის მეშვეობით მიეწოდება. კანზე მიმაგრებული გადამცემები თვალ-ყურს ადევნებენ სხეულის ტემპერატურას, ჟანგბადის დონეს, სუნთქვას, კუნთის ტონუსს, ფიზიკურ აქტივობასა და გულის ელექტროაქტიურობას. ამ მონაცემების მიხედვით დგინდება სტიმულაციის რეჟიმი. მიღებული ინფორმაცია, შესაძლოა, აპლიკაციაში აიტვირთოს და მკურნალ ექიმს გადაეგზავნოს. როცა კარდიოსტიმულატორი საჭირო აღარ იქნება, ის ორგანიზმში გაიწოვება. ყველა კომპონენტი ბიოშეთავსებადია და არ იწვევს ორგანიზმის იმუნურ რეაქციას. დღესდღეობით, კარდიოსტიმულატორის ამოღების ან შეცვლისას, ქირურგიული ჩარევაა საჭირო, ახალი მოწყობილობა კი ამ პროცესს თავიდან აგვარიდებს.

არქიპელაგზე ცხოვრებისთვის ფულს გადაუხდიან

ორ, მცირედ დასახლებულ არქიპელაგზე საცხოვრებლად გადასვლისთვის, შოტლანდიის ხელისუფლება მსურველებს 60 ათას ევროს გადაუხდის. ამ წინადადებით სარგებლობა ნებისმიერი ეროვნების 100 ოჯახს შეუძლია. ქვეყნის ხელისუფლება ამ გზით ცდილობს, ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობის გზრდას. პირველი მსურველები კომპენსაციას რამდენიმე კვირაში მიიღებენ. წინადადებამ, როგორც ჩანს, ბევრი ადამიანი დააინტერესა, რადგან არქიპელაგზე ცხოვრების სურვილი ბევრმა გამოთქვა, მათ შორის, სამხრეთ ამერიკის მცხოვრებლებიც კი არიან.

კლიმატის ცვლილებას უჩვეულო მეთოდით ებრძვიან

ინდოეთის რაჯასტანის შტატში, კლიმატის ცვლილების შედეგებისგან თავის დასაღწევად ახალი მეთოდი მოიფიქრეს – იქაურები მცენარეებს რგავენ დაკრძალვების, ქორწილების, ბავშვების დაბადებისა და სხვა მნიშვნელოვანი ოჯახური მოვლენების აღსანიშნავად. შტატის მცხოვრებლებს სურთ, ხეების დარგვით გაუდაბნოებული მიწები გაამწვანონ და ინდოეთის ტყის რესურსები შეინარჩუნონ. აღსანიშნავია, რომ ისინი მხოლოდ ადგილობრივ მცენარეებს რგავენ, რადგან სხვა სახეობებმა, შესაძლოა, ეკოსისტემას ზიანი მიაყენოს. რაჯასტანის შტატი ნიადაგის დეგრადაციის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. აქ ტყეები ტერიტორიის მხოლოდ 8%-ს შეადგენს. მცენარეების დარგვის ნაციონალურ ტრადიციად ქცევამ გრუნტის წყლების დონე გაზარდა და მოსავალიც მეტი მოდის. ამ პერიოდისთვის, სულ შტატში, დაახლოებით, 3.5 მილიონი ხეა დარგული.

ყველაზე მავნე ფეხსაცმელი გამოავლინეს

ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც სხვადახვა სახის ფეხსაცმლის გავლენას იკვლევდა ადამიანის ჯანმრთელობაზე, აცხადებს, რომ ზოგიერთმა მათგანმა, შესაძლოა, ტერფის დეფორმაცია, ასევე, ფეხებისა და ზურგის პრობლემები გამოიწვიოს. მკვლევარები კატეგორიულად არ გვირჩევენ მუდმივად, ეგრეთ წოდებული, „კედების“, „ბალეტკებისა“ და „მოკასინების“ ტარებას. „უამრავი ადამიანი ატარებს ყოველდღიურად „კედებს“, რადგან ფიქრობს, რომ ეს ძალიან მოხერხებული ფეხსაცმელია. არადა, „კედებში“ ტერფი არასწორად დგას, რაც მისი ფუნქციის დარღვევას იწვევს, – აცხადებენ სპეციალისტები, – სჯობს, ის დროდადრო სხვა სახის ფეხსაცმლით ჩავანაცვლოთ“.

წყურვილის გარეშე წყლის დალევა მავნეა

თურქი სწავლულები აცხადებენ, რომ დიდი რაოდენობით წყლის სმა, რასაც ბევრი სპეციალისტი თავგამოდებით გვირჩევს, სინამდვილეში, აზიანებს ორგანიზმს. ნეფროლოგების თქმით, სითხე რეცხავს და გამოდევნის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ელემენტებს. კერძოდ, გამოიდევნება ნატრიუმი, რომელიც ადამიანის სისხლში, ნორმაში 135-145 მლ/მოლს უნდა შეადგენდეს ლიტრზე. თურქი ექსპერტების თქმით, ნატრიუმის უკმარისობის დროს, შეიძლება, ადამიანი წყლით მოიწამლოს. ნატრიუმის შევსებას ზოგი სპეციალისტი დიდი რაოდენობით მარილის მიღებით ურჩევს, თუმცა შესაძლოა, ამან გულითა და თირკმელებით დაავადებულ ადამიანებს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. არც ის მოსაზრებაა სწორი, თითქოს, დიდი რაოდენობით წყლის მიღება წონის დაკლებას უწყობს ხელს, – აღნიშნავენ სპეციალისტები.

დამბლის დამარცხების გზას მიაგნეს

ავსტრალიის სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის სწავლულებმა, მოზრდილი ადამიანების ძვლისა და ცხიმოვანი ქსოვილებისგან ღეროვანი უჯრედების მიღება ისწავლეს, რომელთაც ნებისმიერი ქსოვილის რეგენერაცია შეუძლიათ, მათ შორის, გატეხილი ხერხემლისაც. როგორც მეცნიერები აცხადებენ, ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა, მიიღონ ინდუცირებული ღეროვანი უჯრედები ან პროგენიტორული უჯრედები, რომელთაც გარკვეულ ქსოვილებად გარდაქმნა შეუძლიათ. ასეთი მიდგომა ლაბორატორიულ თაგვებზე გამოსცადეს, პირველი კლინიკური ცდების დაწყებას კი წლის ბოლოსთვის აპირებენ. ახალ თერაპიას უდიდესი პოტენციალი აქვს ზურგისა და კისრის მკურნალობაში, ასევე, ზურგის დისკის, სახსრებისა და კუნთების ტრავმის მკურნალობის დროს.

სიმსუქნეს ქრონიკული ანთება იწვევს

იაპონელმა სწავლულებმა, ტოკუსიმას უნივერსიტეტიდან, აღმოაჩინეს, რომ დნმ-ს მკვდარი ცხიმოვანი უჯრედებიდან სიმსუქნის გამოწვევა შეუძლია. მკვლევარებმა ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს და აჩვენეს, რომ ქსოვილების ქრონიკული ანთება ზედმეტი კილოგრამების გაჩენას იწვევს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ საქმეში შესაძლო „დამნაშავე“ ცილა TLR 9-ია, რომელიც თანდაყოლილი იმუნიტეტის ფუნქციონირებას უზრუნველჰყოფს. სიმსუქნე ანთებითი პროცესების მანიშნებელია, რომელიც ისეთი დაავადებების მიზეზი ხდება, როგორიცაა მდგრადობა ინსულინის მიმართ. ასეთი პროცესების მექანიზმები ჯერ კიდევ დიდწილად გაურკვეველია, თუმცა ახალ კვლევაში სწავლულებმა აჩვენეს, რომ დნმ-ის გამოყოფას ცხიმოვანი უჯრედებიდან – ადიპოციტებიდან, შეუძლია ანთება გამოიწვიოს.

პლასტმასის სწრაფად დაშლის გზას მიაგნეს

გერმანელმა სწავლულებმა ლეიფციგის უნივერსიტეტიდან, ახალი ფერმენტი PHL7 აღმოაჩინეს, რომლის დახმარებითაც პლასტმასის დაშლა 90%-ით, სულ რაღაც, 16 საათშია შესაძლებელი. საინტერესოა, რომ ახალი ნივთიერება ასევე შლის პოლიეთილენს ტარას ტერეფტალის მჟავასა და ეთილენგლიკოლად. მათ კი, თავის მხრივ, სპეციალისტები შემდეგში ახალი პროდუქტის შესაქმნელად ხელმეორედ გამოიყენებენ. მკვლევარებმა სულ შვიდი სხვადასხვა ფერმენტი აღმოაჩინეს – ყოველი მათგანი, ექსპერიმენტების მეშვეობით, საგულდაგულოდ შეისწავლეს. სწავლულები იმედოვნებენ, რომ მათი აღმოჩენა ხელს შეუწყობს პლასტმასის გადამუშავების სფეროს გაუმჯობესებას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

კოსმოსურ სასტუმროს გახსნიან

ამერიკული კომპანია Orbital Assembly Corporation, 2025 წელს, სადგურ Voyager-ის მშენებლობას დაიწყებს, რომელზეც მსოფლიოში პირველი კოსმოსური სასტუმრო განთავსდება. კომპანიის პროგნოზების მიხედვით, სასტუმრო ტურისტების მისაღებად უკვე 2027 წელს იქნება მზად. სადგურს დაბალ, დედამიწის ახლო ორბიტაზე განათავსებენ. მასზე ორი რგოლი იქნება: შიდა იმუშავებს, როგორც შემაკავშირებელი კვანძი, გარეთაზე კი საცხოვრებელი მოდულები, მზის პანელები, რადიატორები და სატრანსპორტო სისტემა განთავსდება. კოსმოსურ სასტუმროს 400 სტუმრის მიღება შეეძლება. გარდა ცალკეული ნომრებისა, იქნება ბარები, რესტორნები და სავარჯიშო დარბაზიც კი. კომპანია აქტიურად ეძებს ინვესტორებს სადგურის მშენებლობისთვის. ამ ეტაპზე, უკვე ერთი მილიონი დოლარის მოგროვება შეძლეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.